



მოგზაური

№ 6.

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 6.

1910 წლის 18 აპრილიდან ქ. თფილისში გამოსდის
 საზოგადოებრივი, სასაზოგადოებრივი და სალიტერატურო
 ყოველკვირეული გაზეთი

„მოგზაური“

გაზეთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მ.
 ერთი თვით—ათი შაური. ცალკე ნომერი ორი შაური. ხე-
 ლის მოწერა შეიძლება აგრეთვე რამდენიმე ნომერზე, ორ-
 დროის შაურის ანკარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Могзаури“, Со-
 ломуу Евстафiевичу Телiя. (Типог. Кiладзе).

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ფ. მკვლადე.



შინაარსი: კანონი და ცხოვრება.—ჩვენი პა-
 სუხი, ახალგაზდასი.—შინაური მიმოჩილება, ნარი-
 სა.—სახელმწიფო დუმა.—რუსეთის ცხოვრება.—საზ-
 ღვარ-გარეთი.—თანამედროვე მოვლენა, Викторъ-ისა.
 —კორესპონდენციები: ბათომი, აკ. პლებეიშვი-
 ლისა; ოქიანის საზოგადოება, მოქალაქისა.—ეკო-
 ნომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა.—მუ-
 შათა კავშირები თფილისში, მ. ჩლისა.—სოცია-
 ლიზმი და ანარქიზმი. რაინესბერგისა.—თეატრი
 და ხელოვნება.—განცხადება.

კანონი და ცხოვრება.

II

როგორც მოგახსენეთ, ჩვენი აზრით, კანონის წარ-
 მოშობისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია მუშა-
 თა კანონმდებლობა. ეს იმით აიხსნება, რომ ყოველი მუ-
 შის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კანონი პირდა-
 პირ ეხება კაპიტალისტის ჯიბეს, ეს ჯიბე კი დღევანდელ
 პირობებში სრულიად ხელუხლებლათ ითვლება და რა-
 დგან ყველა დღევანდელი სახელმწიფო არის მხოლოდ
 საზოგადოების შეძლებული ნაწილის კლასობრივი ორგა-
 ნიზაცია, სახელმწიფოც ყოველ ასეთ შემთხვევაში ყო-
 ველ ღონეს ხზარობს, დაიცვას იმათი ინტერესები, ვისი
 ორგანიზაციაც თვით არის. ამ მხრით სახელმწიფოსა და
 კაპიტალისტებს შორის, რასაკვირველია, სრული სოლი-
 დარობა და ინტერესების თანხმობა არსებობს. მაგრამ
 ზოგიერთ შემთხვევაში გარეგნულათ ეს სოლიდარობა
 ისეთ სახეს ღებულობს, რომ კაცს ეგონება, ერთმანეთს
 დაშორებთან ეს ორი ძლიერნი ამა ქვეყნისანო.

ეს მხოლოდ გარეგნული შესახედაობაა. არსებითათ
 კი ისინი ყოველთვის ერთათ არიან და შეუძლებელიც
 არის, ასე არ იყოს, რადგან თვით დღევანდელი სახელ-
 მწიფო შეძლებული კლასებისათვის მსახურებითი როლის
 ამსრულებელია. იგი შეძლებულთა სურვილის გარეშე
 სრული არარაა, ხოლო ეს კლასები უსახელმწიფოთ სრუ-
 ლიად უიარაღოთ დარჩენილი მემარია.

ამიტომ არის, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ
 უთმობს პროტექტორიატს და შემოაქვს მისთვის ცოტათ
 თუ ბევრათ სასარგებლო კანონები, როცა უკანასკნელის
 მოთმინების ფილა იცვება და მოსალოდნელია, რომ დღეს
 თუ არა, ხვალ უნდა გადმოხეთქოს სახალხო ზღვის ტალ-

ღებმა. მაშინ იწყებს სახელმწიფო მუშათა კლასზე „ზრუნ-
 ვას“, და ისიც მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს სა-
 კიროა ხალხის, მშრომელთა ვნებათა ზღვის აბობოქრე-
 ბული ტალღების დასაცხრომათ. კაპიტალისტები, ხში-
 რათ მათი განსაზღვრული ნაწილი, ამ შემთხვევებშიც
 წინააღმდეგი უხდებიან სახელმწიფოს გამგე-მმართველთ
 და აი, აქ შეიძლება ვინმე შეცდომაში შეიყვანოს სა-
 ხელმწიფოს მოქმედებამ. გამოდის, რომ სახელმწიფო შე-
 ძლებულ კლასთა სურვილის წინააღმდეგ ადგენს მუშათა
 სასარგებლო კანონებს.

ნამდვილათ კი საქმე ასე არ არის. ერთი მხრით, მარ-
 თალია, რასაკვირველია, რომ ყველა ასეთი კანონი კა-
 პიტალისტთა სურვილის წინააღმდეგ შემოდის სახელმწი-
 ფოს ცხოვრებაში, მაგრამ ამ ნაირათ მისი წინააღმდეგი
 თვით სახელმწიფოც არის და თუ იგი მაინც ღებულობს
 თავის თავზე მუშათა დამცველ კანონების გატარების
 ინიციატივას, მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც იძულე-
 ბულია დაუთმოს მუშათა კლასს კიდევ უფრო მეტის მო-
 თხოვნის შიშით.

ასეთი მისი ინიციატივა, ერთი მხრით, და მეგობარ-
 თა შორის აზრთა სხვა და სხვაობა, მეორე მხრით, მით
 აიხსნება, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე ყო-
 ველ განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში გაბატო-
 ნებული კლასის უკეთეს და უფრო ტიპურ წარმომა-
 დგენელთ უჭირავთ ხელში. ისინი თავისი მდგომარეო-
 ბით, რამდენათაც ეს შესაძლებელია, განზე უდგანან
 პირდაპირ ეკონომიურ ბრძოლას. თვით კაპიტალისტები
 კი ნათლათ გრძნობენ სამუშაო დღიდან ყოველი საათის
 მოკლებას, ყოველი დღესასწაულის შემოღებას და მის-
 თანებს, რადგან, „რკინის კანონის“ თანახმათ, მუშის ხელ-
 ფასის დაყვანა აღარ შეიძლება განსაზღვრულ მინიმუმზე
 ქვევით, არ შეიძლება მუშას იმაზე ნაკლები მიეცეს, რაც

მის გამოსაკვებათ და თავშესაფარის მოსაპოვებლათ არის საჭირო. კაპიტალისტების ნორმალურ პირობებში არ შეიძლება მუშას იმდენი მაინც არ მიეცეს, რომ მან ერთი სამუშაო დღიდან მეორემდინ ვერ მიაზაროს თავისი მრავალ-ტანჯული სული. და ამ მხრით მუშის მდგომარეობის გაუმჯობესობა, როგორც ვთქვით, პირდაპირ ეხება კაპიტალისტის ჯიბეს და ამიტომაც გაიძახის იგი ყოველი ეკონომიური მოთხოვნების წარდგენის დროს, ნამეტურ თუ იგი გაფიცვის არგუმენტით გამოეცხადა მას, „სამშობლო განსაცდელშია, დარაჯნა ამა ქვეყნისა, მიშველეთო!“ იგი მართალიც არის თავისი ლოლიკით, რადგან ბურჟუაზიული სამშობლო მართლაც განსაცდელშია; მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებას აუცილებლათ მოყვება ხოლმე კაპიტალისტის მოგების პროცენტის დაკლება და მისი სამშობლოც ხომ ეს მოგებაა, იგია მისი სათაყვანო საგანი!

მაგრამ მიუხედავად ამისა მთავრობა მაინც იძულებული ხდება დაუთმოს მუშათა კლასს ზოგიერთ მის მოთხოვნებში. ის ადგება ამ გზას, რადგან გრძნობს, რომ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“. უთქობს სწორეთ ისეთ მოთხოვნებში, რომელთა დაუკმაყოფილებლობა უარეს ხიფათს უმზადებს თვით მის წარმომშობ და მარწმუნებელ კლასებს და ასეთ შემთხვევებში იგი უკეთესი დამცველი გამოდის კლასობრივი ინტერესებისა, ვიდრე თვით წინააღმდეგობის გამწვევი კაპიტალისტი. მცირედი დათმობით ის ინარჩუნებს უფრო მეტ პრივილეგიებს, ანელებს მოზღვავებულ ცეცხლს.

ეს კარგათ ესმის შეგნებულ პროლეტარიატსაც და სწორეთ ამიტომ არის, რომ ის ამ დათმობის ხანაში უფრო და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს წინ თავის მოწინააღმდეგეს.

კიდევ ბევრი მხარეა საინტერესო მუშათა კანონმდებლობაში, მაგრამ მისი მთავარი საფუძველი არის მოხსენებული გარემოება და ჩვენც ამითი ვკმაყოფილდებით დღეს.


ყოველივე ზევით ნათქვამის საუკეთესო დამტკიცებას ვპოულობთ უკანასკნელ ხანებში ჩვენ საკანონმდებლო დაწესებულებებში მუშათა კითხვის გარშემო ატეხილ კამათში.

სახელმწიფო საბჭოში ყოფილმა პრემიერმა ვიტტემ გადაგვიშალა ისტორიის ის ფურცელი, რომელიც ნათლათ ამტკიცებენ ჩვენი შეხედულების სიმართლეს. ვიტტეს გადმოცემით მუშათა უზრუნველყოფაზე ზრუნვა იწყება რუსეთში 1882 წლიდან, სწორეთ იმ დროს, როცა პოლონეთში მუშათა მღელვარება და გაფიცვები დაიწყო, როცა იქ ფეხი მოიკიდა სხვა და სხვა სოციალისტურმა მიმდინარეობამ. მაშინდელ მინისტრს ბუნგეს გაუტარებია რამდენიმე კანონი სახელმწიფო საბჭოში, მაგრამ იმათთვის სასტიკი კრიტიკის გაწევა დაუწყიათ პირველ ყოვლისა მოსკოველ მრეწველთ. ამ დროს შემოიღეს, მაგალითათ, საფაბრიკო რესპექტია. ამ ინსტიტუტს, რასაკვირველია, მტრულათ შეხედენ კაპიტალისტები, რადგან, მათი აზრით, იგი მათ შინაურ საქმეებში ერე-

ოდა და მათი გავლენა იმდენათ ძლიერი ყოფილა, რომ ერთი საუკეთესო ინსპექტორი კიდევ დაუბრუნდნენ როგორც არა კეთილ-საიმედო პირი სახელმწიფო წესწყობილებისათვის. ეს პირი არის დღევანდელი აკადემიკოსი იანჟული, რომელიც არასოდეს არ ყოფილა უკიდურესი შეხედულების მიმდევარი და დღესაც მეტათ ზომიერი მიმართულების კაცია.

ვიტტე განაგრძობს თავის სიტყვაში ამ კანონმდებლობის ისტორიას, მისი ბედის ცვალებადობას და ყოველი მისი ქრონოლოგიური დაცვა გვიმტკიცებს, რომ მუშათა კანონმდებლობა სწორეთ მაშინ მოაგონდებოდათ, როცა ზღვა ღელვას დაიწყებდა. ასეთი გულახდილი სიტყვა ცნობილი გრაფისა გამოიწვია კომისიის მომხსენებლის ტრიპოლოტოვის მიერ მთავრობის პროექტის კრიტიკამ და ვიტტესაკენ გადაკრულმა სიტყვებმა, რაც უკვე გვქონდა მოხსენებული გასული კვირის სახელმწიფო საბჭოს ანგარიშში.

ვიტტეს მოწინააღმდეგეთ გამოვიდენ უმთავრესათ ტრიპოლოტოვი და გლეზმერი. ორივე კაპიტალისტების წარმომადგენლებია საბჭოში. ორივე წინააღმდეგი იყვენ მთავრობის კანონ-პროექტისა. პირველი იმ მოსაზრებით, რომ ეს პროექტი მხოლოდ მუშათა ერთ ნაწილს შეეხებოდა, სახელდობრ, ფინანსთა სამინისტროს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავე-მოსამსახურეთ. მისი აზრით ასეთი ნაწილობითი კანონმდებლობა არ არის მისაღები, საჭიროა ყველა მუშებისათვის ერთნაირი კანონის და წესების შემოღება. ამითი მას უნდოდა მიეღწია სამინისტროს პროექტის უარყოფისთვის. მეორე ორატორი, რომელიც, როგორც თვითონ განაცხადა, პირველათ ალაპარაკა ამ პროექტმა, პირდაპირ უარყოფდა ასეთი კანონის საჭიროებას და ამტკიცებდა, რომ რუსეთში არ არის მუშა პროლეტარიატი, და თუ არის, — მუშებსა და დამქირავებელთა შორის ჯერ კიდევ პატრიარქალური განწყობილება ზრსებობს. უკანასკნელი ორი რასაკვირველია პირდაპირა მოკავშირენი იყვენ, მაგრამ თუ ზემოთ ნათქვამს გაიხსენებთ, მაშინ ადვილათ გავიგებთ, რომ არც ვიტტე არის მათი პრინციპიალური მოწინააღმდეგე. იგი მხოლოდ უფრო შეგნებული დამცველია კაპიტალისტური ინტერესებისა, ისე როგორც ამ პროექტისა და სახელმწიფო დუმაში ნორმალური დასვენების პროექტის შემტანი მთავრობა. ამაშიც არ ადგევძვრება ეჭვი თუ მოვიგონებთ, რომ ორივე პროექტი სწორეთ იმ დროს არის შეტანილი, როცა მუშათა მოძრაობა ჯერ კიდევ ძლიერი იყო, რომ მათი გატარებით მთავრობას უნდოდა ორივე კატეგორიის პროლეტარების დაცხრობა და კიდევ მეტიც — არჩევნებში თავისკენ მომხრობა, ანდა უკიდურეს მემარცხენეთათვის ჩაპოშორება მაინც. ეს გარემოება გვიმარტავს იქასაც, თუ რით აიხსნება ისეთი მოვლენა, როგორიც არის მთავრობის ყურპოპრილი მონის, მესამე დუმის მიერ პროექტებში ცვლილებათა შეტანა. დღეს ხომ მუშათა მოძრაობა თითქმის არ არის საგრძნობელი და რათ უნდა გაეწიათ ანგარიში მისი ინტერესებისათვის?!



ასეთ პროექტების გარჩევის დროს დღეს მხოლოდ ს.-დემოკრატიული ფრაქცია აყენებებს კითხვებს პირდაპირ და ნათლად და როცა მის მოთხოვნებს და შესწორებებს შევეუარდებით მიღებულ კანონებს, მაშინ დავინახავთ, თუ რა ზღვარი ძვეს მუშათა ინტერესების ნამდვილ მოთხოვნილებებსა და მიღებულ კანონთა შორის. მაგრამ დღევანდელი ძალთა განწყობილება ასეთია და ამიტომ ისევ მომავლის იმედი დაგვრჩენია...



ჩვენნი ჰასუსი.

„ჩვენ გაზეთი“ თან კამათი გაგვიგრძელდა. პირველათ, როგორც მკითხველს ეხსომება, შერეული კომისიის წარსულ ბოიკოტზე გვქონდა ლაპარაკი. შემდეგ კი უფრო საინტერესო და საჭირ-ბოროტო საამდროვო კითხვაზე გადავედით—საერთო მუშაობაზე. მაგრამ სანამ უკანასკნელზე ვილაპარაკებდეთ, იძულებული ვართ, ერთხელ კიდევ პირველს შევეხოთ.

„ჩვენ გაზეთს“ თითქმის უკვირს, როცა ჩვენ ძველ ბოიკოტს ვიცავთ; ის „რომ შეცდომა იყო, ამაში დღეს ყველა უნდა დაგვეთანხმოსო“,—გვეუბნება გაზეთი. რათ უნდა დაგვეთანხმოს? საბუთი? საბუთათ თურმე ის გამოადგება, რომ დღეს ჩვენ არა ვართ იმ აზრის, როგორისაც წარსულში—**სულ სხვა დროს და სხვა პირობებში**—ვიყავით. უნდა მოვახსენოთ პატივცემულ გაზეთს, რომ ასეთი ახსნით შორს ვერავინ წავა. „მოგზაური“-ს მეოთხე № ში ჩვენ კარკვევით ვამბობდით:

ვევლას ახსავს, რომ 1906 წლის დამლეკს მუშათა მოძრაობა კიდევ ძლიერი იყო. „წესების“ გამომცემელთაგ სწორეთ ის უნდადეთ, რომ ახალი წესებით მთელ-ბოთ მუშების გული, დაენახებოთ, რომ მთავრობა თვით ზრუნავს მუშებსზე, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამით უნდადეთ ისინი ჩამოეშორებოთ მოძრაობისთვის. ამ დროს მუშათა ერთ ნაწილში დაიბადა ბოიკოტის აზრი. რა აზრის აქ დასაძახა? ნუ თუ ის, რომ ბრძოლის დროს შებრძოლი წინ მიიწეეს და არ კმყოფილდებოთ უკვე მოხვედრულით?“

აი, რატომ ვიყავით ჩვენ მაშინ არჩევნებში მონაწილეობის წინააღმდეგი. საჭირო იყო ამ მოსახრებაზე სათანადო მოსახრებითვე გაეცა პასუხი „ჩვენ გაზეთს“, მაგრამ ის დაკმაყოფილდა ცარიელი აღიარებით: „შეცდომა იყო... და მისგან გაფუჭებული საქმე დღემდეც ვერ გამოუკეთებიათო“.

მეხუთე №-ში შევეხეთ ამ აღიარებას და ვთქვით, რომ არ შეიძლება ტაქტიკური ნაბიჯის დაფასება მისი შედეგით; მოვიგონეთ, თუ როგორ გაამართლა ცხოვრებამ ჩვენი დამოკიდებულება „ბულიგინის დუმისთან“, აღვნიშნეთ, რომ არავითარი „სარგებლობის“ მოტანა არ შე-


ეძლო შერეულ კომისიაში მონაწილეობას განკარგულებების დროს და სხ.

თავის უკანასკნელ პასუხში „ჩვენი გაზეთი“ ჩვენ პირველ შენიშვნაზე სდუმს. „ბულიგინის დუმის“ შესახებ კი გაზეთს ჩვენი ნათქვამიდან უკულმართი დასკვნა გამოყავს, თითქო ჩვენ ვაღიარებდეთ, რომ „ბულიგინის დუმის“ ბოიკოტს მივეყვანოთ 17 ოქტომბრამდე.“ ჩვენ ვამბობდით: „მისი (ბოიკოტის) საუკეთესო გამართლებელი არის „ბულიგინის დუმის“ ბოიკოტი, რომელიც ნამდვილი **დროის შესაფერი** გამოდგა და 17 ოქტომბრამდე მივეყვანა“. (ხაზი ახალია) ამ სიტყვებში აღიარებულია არა ის აზრი, თითქო ბოიკოტს თავისთავით მივეყვანოთ 17 ოქტომბრამდე, არამედ ისა, რომ იგი ხელს უწყობდა 17 ოქტომბრისადმი მიმართულ საზოგადოებრივ მოძრაობის ტენდენციას; მან ალლო აულო ობიექტიურ პირობებს და რამდენათაც ეს ალლო გამართლდა, იმდენათ შეიძლება ითქვას: მან 17 ოქტომბრამდე მივეყვანაო. „ბულიგინის დუმის“ როლი კი ამ ტენდენციის ხელის შეშლაში მდგომარეობდა და ვინც მასში მონაწილეობას ლებულობდა, ის ხელს უწყობდა ამ ხელის შეშლას. ნუ თუ ეს ძნელი გასაგები იყო ჩვენი სიტყვებიდან.

ასევე აუკულმართებს, ან, უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, ამხინჯებს ჩვენ აზრს «ჩვენი გაზეთი» ადგილობრივ ბოიკოტის შესახებ. ის გვაწერს, თითქო ჩვენ გვეთქვას, რომ „ნოქრების ბოიკოტი გამოიწვია გუბერნატორის განკარგულებამო“. ნამდვილათ კი ჩვენ ვამბობდით: ადმინისტრაციის ასეთი განკარგულების შემდეგ «რა შედეგის მოტანა შეეძლო ნოქრებისთვის... ანტი-ბოიკოტისტურ ტაქტიკას?» ადმინისტრაციის ასეთი განკარგულება ჩვენს თვალში ბოიკოტის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო და არა ერთათ-ერთი, უმთავრესი. განსხვავება, როგორც ხედავთ, დიდია. ვფიქრობთ, პოლემიკის ასეთი ხერხი არ არის რიგიანი... მაგრამ ეს სხვათა-შორის. დავუგლოთ ყური ისევ „ჩვენ გაზეთს“:

„სწორეთ გენ.-გუბერნატორის ცირკულარის შემდეგ უფრო იყო საჭირო შერეულ კომისიაში მონაწილეობა და აქ ასეთ რუსეთულ რეგლამენტაციაზე თავის აზრის გამოთქმა“,—გვეუბნება ის.

ამაზე მოკლეთ ვუპასუხებთ აი, რას: ყოველივე მოვლენას, როგორც იცით, აქვს ორი მხარე: დადებითი და უარყოფითი. ჩვენ ვღებულობთ იმ მოვლენას, რომელშიც მეტია დადებითი უარყოფითთან შედარებით. ასევე უნდა შეგვეხედნა დასმული კითხვისთვისაც. კომისიაში „რუსეთულ რეგლამენტაციაზე თავის აზრის გამოთქმა“ კარგი საქმეა, დადებითი მხარეა. მაგრამ სამაგიეროთ „მოწინავეთა“ კომისიაში მონაწილეობის მიღება მასის ყურადღებას აპყრობს ამ კომისიაზე და მას ბრძოლას აშორებს; ამით კი ხელს ეუწყობთ, რომ მასსა წამოეგოს ადმინისტრაციის მიერ გადმოგდებულ ანკესზე. ხოლო ეს ისეთი უარყოფითი მხარეა, რომელიც დღათა სძლევს მეორე მხარეს— „რუსეთულ რეგლამენტაციაზე თავის აზრის გამოთქმას“.



ამიტომაც იყო მუშათა ერთი ნაწილი მაშინ ბოიკოტის მომხრე თქვენ კი „დარში“ თუ „ავდარში“, წაღმა თუ უკულმა, ყველგან მხათა ხართ „გემი“ შეაჩეროთ და „ვაკრობა“ იწყოთ.

თქვენ ჩვენი ძველი შეხედულების ლოლიკურ დასკვნათ მიგაჩნიათ დღევანდელი ბოიკოტისტების შეხედულება. სცდებით. ვერ გაგიგიათ ჩვენი შეხედულების „საიდუმლოება“. უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ არავითარი ტაქტიკური ნაბიჯის „პატრიოტები“ არა ვართ. ჩვენთვის ტაქტიკური ნაბიჯს მხოლოდ დროსა და გარემოების მიხედვითა აქვს ფასი. თქვენ კი, დაბადებითვე თან დაგყვით ანტი-ბოიკოტისტობის „პატრიოტიზმი“. უნდა მოგახსენოთ, რომ უხეირო პოლიტიკოსია ის, ვინც ამა თუ იმ ტაქტიკური ნაბიჯს „პატრიოტიზმი“ ჩვენ ასეთების რიცხვს არ ვეკუთვინით.

ასეთია ჩვენი მოსაზრება ამ საგანზე, რაკი მაინცა და მაინც შეუდექით არქივის ქექას.

საერთო მუშაობის შესახებ თქვენი მხრით ვერ ვხედავთ სწორეთ საერთო საქმისთვის სასურველი პოზიციის დაჭერას. თქვენ ფაქტებს ამახინჯებთ. დღევანდელი გათიშულობის მთავარ მიზეზს იგიწყებთ, ჩვენ «ჯგუფური პოლიტიკანობით» გამსჭვალულთ გვიწოდებთ და ბრალს გვდებთ, თითქო ჩვენ ვიყოთ მიზეზი იმ მდგომარეობისა, რომელიც ჩვენში არის დღეს შექმნილი. არც ერთი თქვენი ბრალდება სინამდვილეს არ ეთანხმება. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ როგორც არის საქმე, თქვენ კარგათ იცით.

საერთო მუშაობა პირველათ თქვენ დაარღვიეთ. „უდისციპლინობაში, ნამდვილ კლასიურ მოქმედების დარღვევაში“ პირველი „პრიზი“ თქვენ გერგებათ. რათ დაგავიწყდათ თქვენ მიერ „ძირითადი საფუძვლების“ უარყოფა, რათ დაგავიწყდათ, რომ საერთო უმრავლესობა თქვენ არაფრათ მიგაჩნდათ და მის არსებობასაც კი უარყოფდით?! თქვენ შარშანდელ გაზეთებს მაინც გადახედეთ! თუ ჩვენ დღეს ცალ-ცალკე ვართ, თუ დღეს ჩვენში ერთობა დარღვეულია, ამაში უპირველეს ყოვლისა თქვენი წარსული გზა-აბნეულობა და დღევანდელი „ჯგუფური დიპლომატიაა“ დამნაშავე. სიტყვით ბევრს ლაპარაკობთ, საქმით კი არაფერა ვხედავთ საერთოსთვის გაკეთებულს. პირიქით, თქვენი მეგობრები ძირს უთხრიან საერთო უმრავლესობის შეხედულებას და თქვენგან ისიც კი არ ვიცით, რა აზრისა ხართ ამ ამბავზე. „წრეს“ ჩაფრენიხართ. ვამბობდით და ვამბობთ, რომ თქვენ მიერ შექმნილი პირობები გვაიძულებდა დღეს-დღეობით მხარი დავეჭვირა „წრისთვის“. საერთოთ კი თქვენ მიერ დავიანებულათ აღიარებული პრინციპის წინააღმდეგი ჩვენ არასრდეს არ ვყოფილვართ...

როგორც ზემოთ, აქაც ჩვენი აზრი თქვენ უკულმართათ გაგიგიათ. ჩვენ ვამბობდით: ამ საქმეში ჩვენ საპირადა არაფერი გვქონია-თქო. თუ საპირადა არაფერი გქონიათ, მაშ პრინციპიალური მომხრე ყოფილხართ მისიო, გვეუბნებით თქვენ. აი, ნამდვილი „სიბრძნე“ თუ ვნებავთ, ეგ არის სწორეთ! თურმე ან „საპირადა“ უნდა

გქონდეს რამე ამა თუ იმ საქმეში, და ან მისი პიალური“ მომხრე უნდა იყო! თურმე არ შეიძლება, რაიმე საქმეს ემხრობოდე რომელიმე პრაქტიკული მოსაზრებით!.. თქვენი ლექსიკონით რომ ვლაპარაკობდეთ, მაშინ ჩვენც „სისულელეს“ ვუწოდებდით ასეთ აღმოჩენას; თქვენსავით „განსწავლულნი“ რომ ვიყოთ, გასწავლილით ამ „ანა-ბანა“-ს, მაგრამ არა, ერთსაც და მეორესაც მოკლებული ვართ. მაშ, ერთხელ და სამუდამოთ დაიხსომეთ, რომ „წრის“ კითხვაში მხოლოდ პრაქტიკული—და ისიც თქვენ მიერ გამოწვეული—მოსაზრება გვაშორებდა თქვენგან. ამიტომაც არის, რომ ეს კითხვა „რამდენიმე საათის საქმეთ“ მიგვაჩნია!

„დისციპლინაზე“, „საერო პოზიციანზე“ თქვენც ლაპარაკობთ და ჩვენც. მაგრამ... „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...“ „სიტყვა“, ვგონებთ, რომ კმარა, საქმეა ახლა საჭირო... ამიტომაც, შემდეგი პოლემიკაც ამ კითხვაზე ჩვენ უსარგებლოთ მიგვაჩნია.

ვათავებთ ამ შენიშვნას მით, რომ ხელ-ახლა გითითებთ საერთო უმრავლესობაზე, საერთო პოზიციანზე, საერთო დისციპლინაზე! აქეთვე მივაქცევთ თქვენ ყურადღებას და დარწმუნებული ვართ, აქ დავნახავთ, თუ რამდენათ უახლოვდება თქვენი „სიტყვა“ „საქმეს“!

ახალგაზღვა.



შინაური მიმოხილვა.

ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ კაპიტალისტების მადას, ვიცნობთ მათ „მზრუნველობას“ მუშათა კლასზე. ვიცით, რომ მათთვის მუშებს მხოლოდ მუშა საქონლის ფასი აქვთ და რამდენათაც მოახერხებენ, კაპიტალისტები მხათ არიან ყოველ მხრივ შეავიწროვონ მათი მდგომარეობა. ამის კლასიკურ მაგალითებს იძლევა უკანასკნელი წლები. ყველგან, ყველა წარმოებაში ერთსა და იმავეს ვხედავთ. 1905 და 1906 წლებში მოპოვებული შეღავათიანი პირობები ისპობა, სამუშაო დღე ყოფილ 8—9 საათის ნაცვლათ 15 საათამდის აყავთ, შტატი მკირდება და სხვა და სხვა. ასე იქცევია ჩვენი კაპიტალისტები, როგორც ადგილობრივ მკვიდრთაგან, ისე „განახლებული“ ევროპელებიც.

ამის საუკეთესო მაგალითებს იძლევა ფუნიკულერი და ტრამვაი.

ფუნიკულერზე მუშაობის პირობები განისაზღვრებოდა 1907 წლის 28 მაისის ხელშეკრულობით. მაშინ აღნიშნული პირობები არა ურიგოა. დაწესებულია 8 საათის სამუშაო დღე, განსაზღვრულია შტატი, წინდახედულია ავთმყოფობისა, წარმოების შეჩერებისა და სხვა ასეთი შემთხვევები და მუშებიც ავთ იყო თუ კარგათ ცხოვრობდენ, დამქირავებელთ არას თხოვდენ ჯერ-ჯერობით. მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ ერთი წელიც კი ვერ გას-

ტანა. კაპიტალისტებმა დაინახეს მუშათა მოძრაობის მისუსტება და მაღა აუთამაშდათ. არსებული პირობებით ფუნქიულერის მუშებს ყოველ წლივ ჯამაგირი უნდა მომატებოდათ პირველ აპრილს, სანამ განსაზღვრულ მაქსიმუმამდე ავიდოდა. მოაწია 1908 წლის 1 აპრილმაც. დირექტორებს ხელი ქონდათ მოწერილი ხელშეკრულობაზე და აღბათ მოერიდენ ნამეტანი უტიფრობის გამოაშკარავებას. გამოძებნეს შირმა. 1908 წლის 11 მარტს მოახდინეს აქციონერთა საზოგადო კრება და დაადგინეს: არსებული პირობების შემოღებით დირექტორები გასცილებიან თავიანთ უვლებს საზღვრებს და ხელშეკრულობას ძალა არა აქვსო.

რა წესი და პირობები უნდა შემოეღოთ ნაცვლათ გაუქმებულისა, აზზე კი სდუმდენ. მუშებმა პროტესტი გამოუცხადეს ამ დადგენილებაზე. გაასაჩივრეს კიდევ საქმე სასამართლოში, მაგრამ იმ დროისთვის უკვე გამოსტკვა თავისი აზრი ადგილობრივ სასამართლოს უმაღლესმა დაწესებულებამ მზგავსი პირობების შესახებ ტრამვაის მოსამსახურეთა საჩივრის გამო და მუშები დარწმუნდენ, რომ სასამართლოზე ვერ დაამყარებდენ თავიანთ იმედებს!.. ამან წაახალისა, როგორც ტრამვაის, ისე ფუნქიულერის ადმინისტრაცია. სასამართლოს გამოქომაგებაში მათთვის მოულოდნელი არაფერი იყო, მაგრამ მით საბოლოოთ გაიმაგრეს ზურგი და შემდეგ უფრო თამამათ შეუდგენ საქმეს. გასულ წელს მუშებს აღარ ჰისცეს ზამთრის თვეების ჯამაგირები, რომელიც ერგებოდათ ხელშეკრულობით. შეამცირეს ყველგან შტატი. დამოუკიდებელი ნაწილების გამგეთა ადგილას მათი თანამემწეები დატოვეს და სხვა ამისთანები. მაგრამ ვერც ამან დააკმაყოფილა მათი მაღა და სწორეთ იმ დროს, როცა სახელმწიფო საბჭო პროლეტარიატის ერთი ნაწილის ნორმალურ დასვენებაზე მსჯელობდა, როცა თფილისში ერთი ნაწილისათვის დამტკიცდა დროებითი წესები სამუშაო დღის განსაზღვრისათვის, ფუნქიულერზე 16 საათის სამუშაო დღის შემოღებას შეუდგენ. მართალია, ეს ყოველად უსამართლო წესი მხოლოდ რამდენიმე კაცზე ვრცელდება, ვგრეთ-წოდებულ „სტაროჩებზე“, მაგრამ მაინც ყურადღების მისაქცევია, რადგან მეტი საინტერესოა დირექციის საბუთი. იგი ეუბნება დარაჯებს: სტაროჩებისთვის ვის გაუგონია განსაზღვრული სამუშაო დღე, თქვენი მუშაობა საადვილოა და 16 საათსაც გაძლებთ და თუ არ გნებავთ, ადგილი გაანთავისუფლეთ, ჩვენ სხვასაც ვიშოვითო. ფუნქიულერის დირექციის წარმოდგენით, თუ მუშა წელში არ წყდება მუშაობით, თუ მას არაქათი არ გამოლევია სავსებით, ისე მისთვის საქროა არ არის არც დასვენება და არც სხვა რამე გონიერი გასართობი ან კულტურული მუშაობა. მათი წარმოდგენით ის არაფერია, რომ სამუშაო დღის განმავლობაში მუშა მოწყვეტილია ოჯახს, მთელი წლით მიბმულია სამუშაოზე!.. მას სრულიად არ აფიქრებს ის გარემოება, რომ მუშაც ადამიანია!

* * *

ასეთივე მტაცებლური ხასიათისაა დღეს ტრამვაის დირექციის მოპყრობა მუშებთან. საზოგადოთ მათ მდგო-

მარეობაზე ბევრი თქმულა ჩვენ პრესაში. ჩვენ გაზეთშიაც, ბ. სან-დონის წერილში, საკმაოთ იყო დახასიათებული ტრამვაის დირექცია და ამიტომ საზოგადოთ მათი ხანხანხურის პირობებზე არ შეეჩერდებით. გვინდა მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ ერთ გარემოებას, რომელიც პირდაპირ აუტანელათ ხდის მშრომელთა მდგომარეობას ამ ფირმაზე.

მოგეხსენებათ, რომ დღეს ტრამვაიზე მოქმედებს ახალი წესები—სახელოსნოებში ლებონის დამტკიცებული, მოძრაობაში კი—ბათაილის შემოღებული. ამ წესებმა ბევრში შეაფიქროვა მუშები, მაგრამ ავათ თუ კარგათ მათი მდგომარეობაც განსაზღვრულია და კიდევ შეიძლება ბოდა არსებობა თვით ეს წესებიც რომ არ ირღვეოდეს დირექციის მხრივ ყოველ ნაბიჯზე და ყოველად უმიზეზოთ. ორივე წესებმა იცის ჯარიმები სხვა-და-სხვა „დანაშაულისათვის“, იცის სამსახურიდან დათხოვა „უბატონებელ შემთხვევებში“, მაგრამ უმიზეზოთ დათხოვისათვის ორივე აძლევს მცირედენ გარანტიას მუშებს ნამსახურობისათვის განსაზღვრული ჯილდოს უზრუნველყოფითა. ჩვეულებრივი ლოდიკით ეს ნამსახურობისთვის დადებული ჯილდო იმისი თავდება, რომ ფირმა არ დაითხოვს უმიზეზოთ მოსამსახურეს, არ მოისურვებს ტყუილ-უბრალოთ ხარჯის გაწევას. მეორე აზრი კიდევ ის არის, რომ უადგილოთ დარჩენილ მუშას საშვალუბა ეძლევა მიღებული ჯილდოთი თავი გაიტანოს პირველ ხანებში ახალი ბინის მოძებნაზე. ამიტომ აფასებენ ასეთ გარანტიას მუშები ძვირათ და ყოველთვის ცდილობენ მის შეტანას ხელშეკრულობაში. მაგრამ ტრამვაიზე ორივე მნიშვნელობა დაკარგული აქვს, რადგან კითხვის საბოლოოთ გადამწყვეტი დღევანდელი სასამართლოა. უკანასკნელის ხასიათს კარგათ იცნობდენ მუშები და ამიტომაც იყო, რომ ამ კითხვის გადაწყვეტა უნდოდათ გადაეტანათ სხვა რომელიმე კოლეგიის ხელში. ამით იყო გამოწვეული საამხანაგო კომისია, რომელსაც უნდა გაერჩია სადავო შემთხვევებში საქმე. მაგრამ საზოგადო ადმინისტრაციის განკარგულებით კომისიები მოისპო, სასამართლომაც უკანონოთ გამოაცხადა ისინი და დირექციამ ახალ წესებში, რა თქმა უნდა, აღარ შეიტანა. ამიტომ პირობის დარღვევის გამრჩევი ისევ სასამართლო დარჩა და მის წინაშე უნდა გამოირკვეს ყოველი წერილმანი საქმისა. ამ გარემოებით მეტათ წაქეზებულია დირექცია და სრულიდ უმიზეზოთ ითხოვს მოსამსახურეებს. ესენი იძულებული არიან სასამართლოს მიმართონ. იქ კი საქმე მთელი წლობით არც კი ინიშნება და უადგილოთ, ულოკმა-პუროთ დაგდებული მუშა მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში ვარდება. მთელი მისი დრო საქმეზე წოწიალს უნდება; ვერც სხვაგან მიდის, რადგან დღეს-ხვალაობით ჩათრეულია საქმის დასრულების მოლოდინში და ხშირ-თ ბევრათ მეტს კარგავს, ვიდრე საქმით მოიგებს. მაგრამ მის მდგომარეობას არც დირექცია დაგიდევს და არც სასამართლო. დირექცია პირდაპირ დაინტერესებულია, საქმე გაათრიოს, მუშა აწამოს და ასეც იქცევა. სასამართლო კი ხელს უწყობს ამ მს

სურვილს თავისი „ვოლოკიტით“. სწორეთ რომ საშინელი სანახავეები არიან ეს ტრამვაის მომჩინებები, მაგრამ შევლო პირდაპირ 'შეუძლებელი გამხდარა და როდის მოვლდება თავი ამ საქმეს, ძნელი სათქმელია.

* * *

ორივე ეს მოხსენებული ფირმა მით უფრო იქცევეს ჩვენ ყურადღებას, რომ ორივენი ქალაქის კონცესიონერებია. ქალაქის თვითმართველობისათვის კი სავალდებულოა, თანამედროვე შეხედულობით, მუშათა საკითხში ჩარევა საზოგადოთ, ხოლო კერძოთ ქალაქის მუშათა და მოსამსახურეთა ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ იგი პირდაპირ სამაგალითო იყოს სხვა დაწესებულებებისათვის და კერძო ფირმებისთვისაც. ამ მოთხოვნით მიმართავენ ქალაქს თვითმართველობას მუშათა პარტიები საზღვარ-გარეთ, ამ აზრს ვ დგვივართ ჩვენც და როცა ვხედავთ, რომ ქალაქს არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა, რასაკვირველია, პირველ-ყოველისა არსებული საქალაქო დებულება და ქალაქის ორგანოების შემადგენლობა გვაგონდება. მხოლოდ ამით აიხსნება ისეთი მოვლენა, რომ არც ტრამვაის და არც ფუნქიულერის ხელშეკრულებაში ერთი სიტყვითაც არ არის მოხსენებული მშრომელთა უზრუნველ-ყოფა. მათში მხოლოდ მოსამსახურეთა დაჯარიმების უფლება აქვს დატოვებული ქალაქს, დანარჩენში კი მუშები დამქირავებლის სრულ თვითნებობაზე არიან მინდობილი. და ეს ისეთ საქმეში, სადაც ქალაქი სამონოპოლით ეძლევა ამა თუ იმ წარმოების პატრონთ. რასაკვირველია, დღეს კანონიერათ შედგენილი პირობები მოქმედებს და არ არის მოსალოდნელი, რომ კონცესიონერებმა შეატანიონ შიგ რამე მუშების სასარგებლო, მაგრამ სახეში მისაღებია ორი გარემოება და ამიტომ ჩამოვადეთ ამ საგანზე სიტყვა. პირველი: ყოველ ხელშეკრულებას აქვს თავისი ვადები და ხშირათ ისეთი მომენტები დგება, რომ ქალაქს შეუძლია ისარგებლოს შემთხვევით და შეიტანოს საჭირო შესწორებანი პირობებში. მეორე კიდევ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღესაც ბევრ ხელშეკრულებებს სდებს ქალაქი სხვა და სხვა მწარმოებლებთან და საჭიროა მათი შედგენის დროსაც იხელმძღვანელოს ჩვენ მიერ წამოყენებული შეხედულებით.

მართალია, დღევანდელი ქალაქის გამგეობა სხვილი ბურჟუაზიის ხელშია ჩავარდნილი და პირდაპირ შეუძლებელია მისგან ასეთი პოლიტიკის მიღება, მაგრამ სამაგიეროთ დღეს შეგნებით და მდგომარეობით ჩვენში მაინც საკმაოთ მოლონიერებულია დემოკრატია და მუშათა კლასმაც უნდა გამოიყენოს ეს მდგომარეობა. საჭიროა ყურადღება მიექცეს თვითმართველობის მოქმედებას და ყოველ მარჯვე დროს ვეცადოთ სათანადო გავლენის მოხდენას ქალაქის ორგანოებზე. ასეთი გავლენა კი, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, მაგრამ თუნდ რომ შეუძლებელიც იყოს, ამითი მუშები არაფერს დაკარგავენ, და თუ უშედეგოთ დარჩება ჩვენი ცდა, მაშინ მხოლოდ ერთი მეტი ხაზი გაესმება პროლეტარიატის განმარტოებულ პოზიციას, და ბურჟუაზიული ორგანოების სულისკვეთე-

ბა კიდევ უფრო ნათელი გახდება. წაერთმევათ: უძლებს ქალაქს ლიბერალური ფრაზეოლოგიით სარგებლობისა და კრატისაც შეემატება ენერგია არსებულ ორგანოებთან და უვარგის წესებთან ბრძოლისათვის. ეს კი საზარალო არ იქნება...

ნათი.



სახელმწიფო დუგა.

დუმაშ დაასრულა დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების კანონ-პროექტის მუხლობით განხილვა. კანონ-პროექტის შინაარსი და ის ცვლილებები, რომლებიც კომისიამ შეიტანა, ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი. კომისიის ცვლილებები თავის თავათაც უმნიშვნელო იყო, და დუმაშაც მხოლოდ ზოგი მათგანი მიიღო. კომისიამ იმავე თვალთა-ხედვის ისრით შეხედა კითხვას, როგორც მთავრობამ. დუმაშაც კანონ-პროექტში, რასაკვირველია, ახალი არა შეიტანა რა.

კანონ-პროექტის მიზანი, როგორც გულ-ახლით განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო საბჭოში დღევანდელი პოლონელი პომეშიკების მაგიერათ აერჩიათ რუსი პომეშიკები. უკანასკნელნი იმდენათ სუსტ ელემენტს შეადგენენ მხარეში, რომ გარეშე ძალის დაუხმარებლათ მათი არჩევა შეუძლებელი იყო. იმავე დაწესებულებას, რომელსაც საბჭოს წევრები უნდა აერჩია, მთავრობამ თავზე მოახვია საერობო თვითმართველობის გაძლოლაც.

საზოგადოთ ერობა რუსეთში მეტათ შეზღუდულია. თვითმართველობა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან არის სულ შეხუთული. მაგრამ ამ ერობას, რომელიც დუმაშ დასავლეთ გუბერნიებს უძღვნა, თვითმართველობის ნატამალიც კი აღარ სცხია.

ამომრჩევლები გაიყოფებიან ორ კურიათ. ერთში შედიან პოლონელები, მეორეში რუსები, ებრაელებს საარჩევნო უფლება არა აქვთ. ყოველ საექვო შემთხვევაში იმის გადაწყვეტა, თუ ვინ რუსია და ვინ პოლონელი, დამოკიდებულია სხვებით გუბერნატორზე. მის ნებაზევეა დამოკიდებული, რომელ კურიაში მიეცეს ხმის უფლება სხვა ეროვნების პირებს. თითოეულმა კურიამ რამდენი ხმოსანი და რომელი ეროვნების უნდა აირჩიოს, კანონით არის გადაწყვეტილი. მთავრობის კანონ-პროექტით სავალდებულო იყო, რომ გამგეობის წევრები და მოსამსახურეები რუსები ყოფილიყვენ. დუმის დადგენილებით კი მხოლოდ სახალხო განათლების ნაწილის გამგე უნდა იქნეს ტომით რუსი, დანარჩენები შეიძლება არა რუსებიც იქნენ. ეს დადგენილება საქმის მდგომარეობას არ სცვლის, რადგან ხმოსნების უმრავლესობა შესდგება ქეშმარიტ რუს პომეშიკებისაგან. ვის აირჩევენ გამგეობის წევრებათ ეს უკანასკნელნი და ვის მიიწვევენ ერობაში სხვა და სხვა თანამდებობაზე მათი არჩეული გამგეო-

რუსეთის ცხოვრება.

ბა, ეს დუმიისათვის ცხადი იყო. დუმამაც ამ კითხვაში მეტი წინდახედულობა გამოიჩინა, მთავრობამ კი უსაზღვრო გულახდილობა.

ოპოზიციამ წინადადება შეიტანა, საყოველთაო საარჩევნო წესით აერჩიათ ხმოსნები. ამნაირათ უზრუნველყოფილი იქნებოდა რუსების უმრავლესობა ერობაში, რადგან მკვიდრთა უმრავლესობა ადგილობრივ რუსი გლეხები არიან. დუმის უმრავლესობამ, რომელსაც რუსი გლეხების გაცილებით უფრო ემინია, ვიდრე პოლონელი პომეშიკებისა, უარყო ეს წინადადება. არ დასთანხმდა დუმა აგრეთვე პროგრესისტების წინადადებას, გლეხებისგან ყოფილიყო ხმოსნების 50% მესამედის მაგივრათ.

სანამ კანონ პროექტის მუხლობით განხილვას შეუდგებოდა, დუმამ თავშივე დაადგინა, რომ ეს კანონი მოქმედებას იწყებს 1910 წლ. 1 ივნისიდან. კადეტების წინადადება ამ მუხლის განხილვა გადაედოთ იმ დრომდე, სანამ კანონ-პროექტი საბოლოოთ არ იქნებოდა მიღებული, დუმამ უარყო. მთავრობისათვის საჭიროა, რამდენიმე უსიამოვნო პირი მოიშოროს სახელმწიფო საბჭოდან. ამიტომ დააჩქარეს ამ კანონპროექტის შეტანა და უმრავლესობა ყოველ ღონეს ხმარობდა მალე დამთავრებულიყო მისი განხილვა.

საზოგადოთ ამ ბოლო დროს დუმა საჩქაროთ იხილავს მთავრობის კანონ-პროექტებს, სამაგიეროთ ჭირივით ეჯავრება შეკითხვების საჩქაროთ განხილვა და იმ კანონ-პროექტების დაჩქარება, რომლებიც საჭირობოროტო კითხვებს შეეხება. სიკვდილით დასჯის შესახებ კანონ-პროექტი, რომლის გატარება პირველმა დუმამ უნაყოფოთა სცადა, დღემდის დუმის კომისიებსა და სამინისტროს კანცელარიებს ვერ გასცილდა. მილიუკოვის წინადადება, შესდგომოდენ ხსენებულ კანონ-პროექტის განხილვას, დუმამ უარყო და სამაგიეროთ 21 მაისიდან შეუდგა ფინლიანდიის კანონ-პროექტის განხილვას.

ეს კანონ-პროექტი დუმის კომისიამ აჩქარებული ტემპით გაატარა. მემარჯვენეებმა პირში წყალი ჩააგუბეს, რის გამო დებუტატმა გეგეკოორმა პროტესტის ნიშნათ კომისიას თავი დაანება. მას გაყვენ ოცოზიციის სხვა წევრებიც. დუმაში საჩქაროთ უპირებენ გარჩევას ორატორების სიის და სალაპარაკო დროს შემოკლებით. ამისთვის ნაციონალისტები ფიქრობენ ნაკაზის შეცვლას. დაარღვევს თუ არა დუმა ელემენტარულ საპარლამენტო ეტიკას, ამას ამ დღეებშივე ვნახავთ.

დუმამ გაარჩია რამდენიმე შეკითხვა და ყველანი უარყო. საინტერესოა შეკითხვა ვიატკის ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ, სადაც შეკითხვის ავტორების სიტყვით, გლეხებს დარჩენილ გადასახადებში ძალით ართმევდენ და უყიდდენ თუ რამ ებადათ, ამართებდენ და ასახირობდენ კიდევ. შეკითხვაზე ვრცელი, საინტერესო პასუხი გასცა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კურლოვმა. შეკითხვის განხილვა არ გათავებულა.



ფინლიანდიის ბარუმი. 14 მაისს ფინლიანდიის სეიმმა მიიღო უქვეშევრდომილესი პეტიცია ძირითად კანონების კომისიის რედაქციით.

პეტიცია ამბობს, რომ ახალი წესების შემოღებით ფინლიანდიის მართვა-გამგეობა ძლიერ შეირყვეა, მისი ძირითადი კანონები ფ.ხ.ქვეშ გაითულება და ხალხის განვითარებას ყველა გზა შეკეკრება. პეტიცია დაწვრილებით აღნიშნავს რუსეთის მინისტრთა საბჭოს ფინლიანდიის საკანონმდებლო და სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევის მწარე შედეგებს. ის ამბობს, რომ კანონისადმი პატივისცემას ღრმათა აქვს ფესვი გამდგარი ფინლიანდიის ხალხში და ამიტომ მისახვედრია მისი შეშფოთება, როცა ხედავს, რომ მთავრობა გვერდს უხვევს ძირითადი კანონების ასრულებას და გზას უხსნის საზოგადოებრივი მშვიდობიანობის საშინელ მტერს: თვითნებობას და კანონისადმი უპატივცემულობას.

რაც შეეხება საერ თო-საიმპერო კანონ-მდებლობის შესახებ გამოცემულ კანონ-პროექტს, სეიმი დარწმუნებულია, რომ ის ნამდვილათ ვერ გატარდება ცხოვრებაში, თუნდაც რომ იგი მიიღონ საკანონმდებლო დაწესებულებებმა და დამტკიცებულ იქნას მონარქის მიერ, თუმცა სეიმი დარწმუნებულია, რომ ეს არ მოხდება.

პეტიცია ამბობს, რომ ძირითად კანონების დარღვევით გამოცემულ კანონს ხალხი არ ჩათვლის ნამდვილ კანონათ, ის ხალხის შეურაცხყოფელი განკარგულება იქნება და მას არ ექნება ხალხისთვის სავალდებულო ძალა.

პეტიცია იგონებს იმ დროს, როცა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამტკიცა, ფინლიანდიის ძირითადი კანონები შეურყველია. ახალი კანონ-პროექტისა და მისი მომხრეების მტკიცება, თითქო ფინლიანდიას არ ქონდეს სხვა უფლებები, გარდა იმისა, რაც რუსეთს მოესურვება მისცეს ფინლიანდიას თავის მთავრობის პოლიტიკის თვითეულ შეცვლის შემდეგ, —სრული გადამხინჯება ალექსანდრე პირველის მიერ დამტკიცებული ძირითადი კანონისა.

უკანასკნელათ სეიმი გამოსთქვამს რწმუნებას, რომ კანონიერებისა და სიმართლის დაცვას მიესალმება მთელი რუსეთი და ამიტომ ითხოვს, ძალაში იქნას დატოვებული ფინლიანდიის ძირითადი კანონები და ყველა ის ზომები, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში იქნა გამოცემული ძირითადი კანონების დარღვევით, — მოსპობილ იქნას.

— სახელმწიფო საბჭოს 11 მაისის სხდომაზე მ. სტახოვიჩმა წარმოადგინა ალექსანდრე პირველის დროის ორი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს კითხვას ფინლიანდიის კონსტიტუციის შესახებ. პირველ დოკუმენტში თვით ალექსანდრე პირველი გამოსთქვამს სურვილს, „რომ ფინლიანდიის ხალხს რუსეთთან შეერთებით ზიენიქოს გაცილებით მეტი სარგებლობა, ვინემ ქონდა მას, როცა ის იყო შვეციის მფლობელობის ქვეშ“.

მეორე დოკუმენტი წარმოადგენს სპერანსკის მოხსენებას ალექსანდრე პირველისადმი. მოხსენება ამტკიცებს რა ფინლიანდიაში სტატ-სეკრეტარიის დაარქბის აუცილებლობას, სხვათა შორის ამბობს: „ფინლიანდია სახელქიფა და არა გუბერნია; მაშასადამე, არ შეიძლება მისი სხვათა შორის (МИМОХОДОМЪ) მართვა აუარებელ ზიენიარე საქმეებს შორის“.

საგუბერნიო ჟანდარმთა მმართველობის უბათები. ამ რამდენიმე თვის წინათ შინაგან საქმეთა საინისტრომ სახელმწიფო დუმაში კანონ-პროექტი შეიტანა ზოგიერთ ადგილებში ჟანდარმთა შტატის გაზრდების შესახებ. კითხვა გადაეცა კომისიას. როგორც მოხსენებიდან ირკვევა, კომისია არ დათანხმებია სამინისტროს მოსაზრებას და ამიტომ ჟანდარმთა შტატების გამრავლება საჭიროთ არ უცნია. მინისტრი ამტკიცებდა, რომ უკანასკნელ წლებში მრავალგვარ ეკონომიურ და სხვა მიზეზებისა გამო არა-



ლევალური მოძრაობა შესამჩნევად გაიზარდა. რევოლუციონურ მოძრაობას თან დაერთო ნაციონალისტური და აგრარული მოძრაობა, რომლებმაც განსაკუთრებით იქ იჩინა თავი, საცა ჟანდარმერია არ არის სათანადოდ ძლიერი.

დუმის კომისიის აზრით კი ეს მოსაზრება არ არის სწორი. ის დარწმუნებულია, რომ არალევალური მოძრაობა სრულებითაც არ იზრდება და ამიტომ არც მიაჩნია საჭიროთ ჟანდარმთა შტაბის გამრავლება.

1905 წლის ნაშთი. 10 მაისს ქ. როსტოვში-დონზე გაიჩრა 1905 წ. სარატოვში მომხდარ პაგრომის საქმე. დამტკიცდა, რომ მთავრობის მიერ არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული. გრაღონაჩალიკი და პოლიცემისტერი არავითარ ზომებს არ ღებულობდნენ პაგროშიკების წინააღმდეგ. პოლიცია გულგრილად შეეყურებდა პაგრომებს.

გამოირკვა შემდეგი დამახასიათებელი შემთხვევა. ანგრევდნენ ოსტერის მაღაზიას. როცა გაიგეს, რომ ოსტერი ებრაელი არ არის, მაშინ გრაღონაჩალიკის ბრძანებით პაგროში დაუყენებლივ შეწყდა.

ბრალდებულთაგან 18 გაამართლეს, 5 გადაუწყვიტეს 1 წლით გამასწორებელი რაზმი, 13—ციხე 2—8 თვემდე.

სასლვარკარეთი.

ოცნაღითა თუმცა დესპოტიზმს დააღწია თავი, მაგრამ მისი ცხოვრება მაინც ვერ ჩადგა კალაპოტში. დრო გამომავლობით ხან აქ, ხან იქ იფეთქებს სოღმე უკმაყოფილება არსებული რეჟიმით. ხან და ხან მდგომარეობა ისე კართუღდება, რომ არსებულ რეჟიმთან ერთად თვით იმპერიის მდგომარეობაც ხიფათში ვარდება. ამჟამად მდგომარეობა დღესაც ოსმაღეთში.

უკვე მეორე თვეა, რაც ოსმაღეთში შინაური ომის აჯანყებულ აღბანელებთან. მთავრობა ათი ათასობით გზავნის ჯარს. ყოველი შეტაკების შემდეგ ოფიციაღურად აცხადებენ: გადაწყვეტი ბრძოღა მოხდა. მაგრამ შემდეგ ბრძოღა ისევ თავიდან იწყება. ჯერ ომს ბოღღ არ უჩანს და ძნელი სათქმელია, როღდის დაბოღღდება. აღბანელები ხანკურად ვეღური და ბუნებით მეომრები არიან. მათ კულტურას ეგრობის გავღენა ძღიერ მღირეთ ეტღობა. დანამღვიღებით იმის თქმა, თუ რამ გამოიწღვა მათი აჯანყება, ჯერ-ჯერობით ძნელია. ერთი კი აშკარაა, ახალი რეჟიმის სუღის ჩამღმეღნი ვერ გამოღვენ წინ დახეღული ზოღლიტიკსები. ძვეღ ზნე-ჩვეუღლებს, ძვეღ უზღრატკისობებს ერთი დაკვრით დაუზღირეს მოსზობა. ეს ვერ აიტანეს თავისუღფლებს შეჩვეულმა, ძვეღი დესპოტიური რეჟიმის დროს განებოღრებულმა აღბანელებმა და აჯანყების დროს ამართეს.

აღბანელები არ წარმოადგენენ მღირე რღცხვოღან და ერთ-გვარ ეროღებისს. სამსრეთისკენ ცხოვრობენ ტოსკები, ჩრდიღლოეთისკენ გეგები. თვითუღლი მათგანი იყოღვა თემებთ, თვითუღლი თემს ეავს თავისი მეთაური და აქვს თავისებური მუღტათ ზრღმითიუღლი კონსტიტუღია. სტამბოღის მთავრობას მათზე დიდი გავღენა არა ქონია. ეს ითქმის საზოგადოთ ყვეღა აღბანელებზე. განსაკუთრებით უზღრატკისობით სარ-

გებლობდა ჩრდიღლოელი აღბანელების ის ნაწიღი, რომელმაც მუღმადის სარწმუნოებსს აღიარებს (არიან ქრისტიანებიც, მეტი წიღი კათოღიკები). მეცხრამეტე საუღუნის დასწეღიდან, როცა იანიჩარების ჯარი მოისზო, აღბანელებიდან შეადგინეს გვარღია, რომელიც სუღთანის მარჯვენს ხელი და სანებოღრო სავანი შეიქნა. სუღთანს ეფეღებოღდა მათ და ყოვეღევარ ზრღვიღლეგებს ანიჭებდა. სუღთანის გვარღიელები ბრუნღებოღდენ სამ-შობღღოში გავღებუღენი, თავისი მბრძანებღით კმაყოფიღნი. მათი თავგასუღლობა სუღთანის მეღხებით სუღ მუღამ აუღავ-მავი ჩჩებოღდა. ამ მღგომარეობით ისინი კმაყოფიღი იყვენ და რეჟიმის შეცვღა მათთვის ხელსაყრელი არ იყო.

მუღმადიანი აღბანელები შეადგენენ რღცხვით 300 ათასს, მამაკაცები იქნებიან 75 ათასმე, და თუ მსოღღღ ახლავავღებს ვიანკარიშებით, 25 ათასი მაინც იქნებიან. მათ იგრომეს, რომ ძვეღი რეჟიმის დაცემასთან ერთად ისინიც დაკარგავღენ თავის ზრღვიღლეგებს. მათ მხარი მისცეს სუღთანს. აბღუღ კამიღდს კონტრ-რეღოღიუღიაში. არც ჩრდიღლოელ კათოღიკე აღბანელებს და არც სამსრეთ ტოსკებს კონტრ-რეღოღიუღიაში მოწინაღღიეობა არ მიუღიათ. კონტრ-რეღოღიუღიის დამარცხების შემღდე სუღთანის გვარღია მოსზეს, აღბანელები დაბრუნღენ თავის მთებში, კანწეღებუღლი და შურის ძიებით აღვისიღნი.

ამას ახლავავღდა ოსმაღებმა ზეღ დაურთეს რეღოღრმები, რომლებიც აღბანელებისათვის ახალი ხიღი იყო და მათ ძვეღ თავისუღფლებს ამოკლებდა. ზოგი რეღოღრმები, როგორც მაგ. სყოვეღთაო სამხედრო ბეკარა, მუღნიციზღლიტიკტის სასარკებოთ სასოღღლო მეღურნეობის წაწარმობებზე დაღებუღლი ბაყები, ბურჟუაზიულ სახელმწიღოღში აუღიღებღლია და ახლავავღდა ოსმაღები, რომლებიც ჩვენებური ოქტომბრისტიკების ახლო ნათესავები არიან, ამ რეღოღრმებზე უარს ვერ იტყოღდენ. მაგრამ რაკი იმისთანა ძღიერ ტომთანა ქანღათ საქმე, როგორც აღბანელები არიან, თამამათ შეეძღლოთ უარი ეთქვათ ისეთ რეღოღრმებზე, როგორც მაგ. ლათინური აზნანის მავოღრათ ანაბუღლი აზნანის შემოღება, ოსმაღური ენის სავადღებუღლოთ კანღდა და იარღდის აერაა იმ ხლღისათვის, რომელიც იარღღთან შეზრდიღია. ახლავავღდა ოსმაღებმა ამ მსრითაც ჩვენებური ოქტომბრისტიკებს მიბაძეს და ამითი აამხედრეს ახალი რეჟიმის წინააღმღდეგ ყვეღა აღბანელები.

20 მარტს მოხდა კონტრესი, რომელზეღაც მოწინაღღეობა მიიღღ 25 აღბანეღთა კღებების და ორგანიზაციების წარმომადგენელმა. მათ გამოიტანეს რეზოღლიუღიები, მოითხოღდენ, რომ მთავრობას ძვეღებურად დაეტოვებინს ლათინური შრღოტიკი, აღბანელების ენა, არ აუყარს იარღდი და ზომები მიეღღო ბერძნების ზრღბავანღდის წინააღმღდეგ ქრისტიან აღბანელებში. მთავრობამ უუღრადღებოთ დასტოვა ეს რეზოღლიუღიები და 22 მარტს დღებში ყვეღ აცნობა ევროპას, რომ აჯანყება დაწეღა აღბანელებში.

ოსმაღეთის მთავრობა, რომელსაც ეავს 250 ათასი ნიზამი, 600—650 რეღიღი, ეავს აგრეთვე კარკათ გაწვრთნიღი და შეიარაღებუღლი არტიღერია, უღრო დიდ ძღღას წარმოადგენს, ვიდრე აღბანელები და ბოღღოს, უნდა ვიფიქროთ, დასძღვეს კიღვე მათ. მაგრამ აღბანელებიც არ წარმოადგენენ სუსტ მბოღრღანიღეს. ამ შინაურ ომში დასუსტება კი დიღდათ სავრღსობღია ოსმაღეთისთვის, როცა გარეღანაც და შიგნიღანაც სხვა მეზობლები არ უმზადებენ კი ამზავს.

კუნძული კრიტოსი დიდ საფრთხეს წარმოადგენს ოსმალეთისათვის დღეს. უკანასკნელი საბერძნეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ამ კუნძულზე დროებითი მართვა გამოცდისა შემოღებული. აქვს მას მინიჭებული მცირეოდენი ავტონომია, უმაღლესი უფლებები კუთვნიან ოსმალეთს, იმყოფება კვრანძიელ სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ. ადგილობრივი მკვიდრნი, უმეტეს წაწილათ ბერძენები, იმ თავითვე უკმაყოფილო იყვნენ ამ მდგომარეობით. მათ უნდოდათ კუნძული სრულიად შეერთებულ საბერძნეთს. მას შემდეგ არა ერთხელ გამოუჩინათ ეს სურვილი. ბოლო დროს კი საბერძნეთის მეფეს ერთგულება შეუფიცეს, გადასწავიტეს ნაციონალურ კრებაზე არ დაუშვან მუსულმანები, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთა 20% შეადგენენ.

ოსმალეთმა ორივეჯერ ზნატიანობით მიმართა მფარველ სახელმწიფოებს. მათ განაცხადეს, რომ ნებას არაფერს მისცემენ, კრიტოსზე დღევანდელი მდგომარეობა შესცვალეს. დღევანდელი მდგომარეობა კი არც ერთ მხარეს არ აკმაყოფილებს, არც ოსმალეთს და არც კუნძულის მცხოვრებთ. კრიტოსელები არაფერს დაზოგავენ, მდინარე კი საბერძნეთს შეუერთდნენ. ოსმალეთიც კრიტოსს ვერ დასთმობს, რადგან ის შეადგენს ოსმალეთის ბინას სმელთა შუა ზღვაში. თუ საბერძნეთმა კრიტოსს დაუჭირა მხარი, მაშინ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ომი მოსალოდნელია. ოსმალეთს იმდენი ძალა კიდევ შესწევს, რომ საბერძნეთს გაუსწორდეს, თუ კვრანძიელი სახელმწიფოები არ ჩაერევიან. მაგრამ ოსმალეთს შინაური არეულობა ძალიერ ასუსტებს. ამიტომ არის დღეს ოსმალეთისათვის სახიფათო ალბანელების აჯანყება. და რაც უფრო დიდ ხანს გასტანს ეს აჯანყება, მით უფრო ხიფათში ჩავარდება ოსმალეთიც. აჯანყებას კი ჯერ-ჯერობით ბოლო არ უჩანს. მთავარიანა ალბანია ხელს უწყობს ომში გამწვანებლ და უკანასკნელი სისტემის თოფებით შეარადებული ალბანელებს, რომ ზნატიანული ბრძოლა კიდევ დაიწიან განაგრძონ.

თანამედროვე მოვლენა.

ვ. გ. კოროლენკომ ორი წერილი უძღვნა სიკვდილით დასჯის საკითხს ეურნალ „რუსკოე ბოგატსტვო“-ს ფურცლებზე.

„ძველ რუსეთს „განახლებამდე“ თავს დასტრიალებდა განუყრელათ ორგვარი უბედურება: შიმშილობა და გადამდები სნეულებანი. რუსეთის თავისებურმა კონსტიტუციამ მათ გვერდში ამოუყენა მესამე: სიკვდილით დასჯა. სტატისტიკასა აქვს შემუშავებული თავისებური ცხრილი, სადაც ყოველი რუბრიკის თავში არის ნაჩვენები სიკვდილის მიზეზი და შემდეგ გარდაცვალებულთა რაოდენობა. ჩვეულებრივ რუბრიკებს, რომელიც აჩვენებდა სიკვდილის სხვა და სხვა მიზეზებს (ხოლერა, შავი ჭირი, დიფტერია, ყელჭივრება, სახადი, შიმშილობა) რუსეთის „კონსტიტუციამ“ მიუმატა კიდევ ერთი რუბრიკა: „სახრჩობელა“. თითქმის ყოველ დღე განთიადზე, როცა

მთელი ქვეყანა ღრმა ძილს არის მიცემული, ციხის კედლებში მოისმის ბორკილების ჩხარა-ჩხური და ფენის ხმა. ვილაც ძალ-ღონით სავსე ვაჟაკი მიყავთ მისთვის გამზადებულ სამარისაკენ...“

ყველაზე უსაშინელესი ის არის, რომ სიკვდილით დასჯა გადაიქცა ჩვიულებრივ, ყოველდღიურ მოვლენათ. სიკვდილით დასჯის მომხრენი ამბობენ, რომ დასჯა აშინებს ხალხს და ამიტომ ის ჩვენ გათახსირებულ საზოგადოებაში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. კიდევაც რომ დავეთანხმობთ ამ სასტიკ აზრის მომხრეთ, მაინც უნდა ვთქვათ, რომ დასჯა, როგორც შესაშინებელი საშუალება, უფარგისი გამოდგა. „სიკვდილით დასჯასო, ამბობს ვ. გ. კოროლენკო, — ჩამოხსნეს ის რიდე, რომელიც მას საიდუმლოებით ფარავდა და რაღაც საშინელების ელფერს აძლევდა. და ან როგორ შერჩებოდა ეს რიდე, როცა სამსჯავრო 30 კაცს ერთთა უწყვეტ დასჯას, როცა სიკვდილით სჯიან 4 მანეთისა, ერთი წყვილი ჩექმებისა და ბექტების ან და 1 მანეთის მოტაცებისთვის, თუცა არც არავინ მოუკლავთ, და არც არავინ დაუჭირათ?!“

ან რა შეშინებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ასობით და ათასობით შეყურებენ თავისს უკანასკნელ ჟამს მაშინ, როდესაც სხვები სუნთქავენ, ლაპარაკობენ, იცინიან... როცა რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველ დამე სჯიან სიკვდილით... სადაც დილის ნიაფი თითქმის ყოველ-დღე აქა-იქ წააწყდება გზაზე სახრჩობელებს, თოკებს, ჰაერში მოქანავე გვამებს და თან მიაქვს მთელ რუსეთში დასჯილთა უკანასკნელი კენესა და ხრიალი!.. სადაც არ ყოფნით საღრჩობელები და ხალხს აღრჩობენ, სადაც მოხვდებთ და რითაც მოხვდებთ: ცეცხლის მქრობელთა კიბეებზე დამპალი თოკებით, რომლებიც ხშირათ წყდებიან.“

სიკვდილით დასჯაო, ამბობენ, — იპათთვის არის საჭირო, ვისი გასწორებას იმედი აღარ არისო. მაგრამ ამისი მთქმელი ან საზიზღრათ პირმოთნეობს, ან და უღომობლათ სასტიკია, რადგან სიკვდილით დასასჯელიც უპირველესათ ყოველისა ადამიანია.

მაგრამ ვთქვათ, რომ გაფუჭებული და უიმედოთ დაღუპული ადამიანი სიკვდილის ღირსია. განა ამისთანა გაფუჭებულ ხალხს აღრჩობენ ახლა?

ვ. გ. კოროლენკოს მოყავს თავის წერილში სიკვდილით დასასჯელთა წერილები და აღსარებები და დასძენს, რომ იმ წერილების ყოველ სტრიქონში გამოსქვივის ის გულწრფელობა, რომელიც შეეფერება სასიკვდილოთ გამზადებულს.

„ზევრი მათგანი გულ ახლით ამბობენ, რომ ამ მდგომარეობაში მათ აღარაფრის იმედი არა აქვთ და სიცოცხლეზე ოცნებაც კი უადგილოთ მიაჩნიათ. მიუხედავათ ამისა მხოლოდ ერთ წერილს გმჩნევა ცინიზმის კვალი, სხვა წერილების ავტორები სწუხან რაღაც სხვანაირ ცხოვრებაზე, რაღაც მიუწოდებელ სიმართლეზე. განა შეიძლება კაცმა გულზე ხელი დაიდოს და გულწრფელოთ სთქვას, რომ მათი დასჯით ქვეყნიდან იღვევებიან

არამზადები, რომლებსაც არც შენანება შეუძლიათ და არც გასწორება?..“

მოვიყვანთ სიკვდილით დასასჯელის ერთ წერილს: „გამარჯობა, ძვირფასო მამა. გიგზავნი უკანასკნელ გამოსამშვიდობებელ სალამს და გისურვებ დიდ... დიდ... ბედნიერებას. მაპატივე, ჩემო ძვირფასო, რომ ამდენი ხანი წერილი არ მომიწერია. შენ გეგონება, რომ სრულიად დამავიწყდი. ოჰ, საყვარელო მამა, ნუ დამდებ მაგისტანა სასტიკ ბრალს. მთელი ის დრო, რაც მე შენ გაგშორდი, ჩემთვის განუწყვეტელი ტანჯვა იყო. მე მხოლოდ იმით ვცხოვრობდი, რომ ვფიქრობდი, დადგება დრო, როცა მე სამუდამოთ შენთან დავბრუნდებოდი, შემეძლებოდა დამეხარა ჩემს მკერდზე შენი ქალარა თავი და მომერჩინა ის წყლულები, რომელიც მრავალწინ შენს საწყალ დატანჯულ გულს. მაგრამ ეს დრო აღარ დადგა. ოცნება გაჰქრა და ჩემ წინ დარჩა მწარე სინამდვილე. 1908 წლის 28 მაისიდან ციხეში ვხვდარ. 23 იანვარს სასამართლოში ვიყავ და სიკვდილით დასჯა გამამიწყვიტეს... 30 დღე კიდევ დამრჩენია სიცოცხლე. თუ შეგიძლია, ძვირფასო მამა, ჩამოდი. განახვებენ ჩემ თავს... დედას წერილი მისწერე და გადაეცი ჩემი უკანასკნელი სურვილი, რომ შენ არ მიგატოვოს და დაამშვიდოს შენი საბრალო გული. დამიკოცნე პაპა და მამა. ყველა ნათესავებს მოკითხვა. მშვიდობით, მამა!“

არ შეგიძლია არ აღვნიშნოთ, რომ პირველ დღეებში, სიკვდილით დასასჯელები თამამათ გრძობენ თავს. როგორც მათი წერილებიდან სჩანს, სიკვდილზე სრულიად არ ფიქრობენ. სიცილი, ხუმრობა, მოგონებები ჩვეულებრივი მოვლენა დასასჯელთა საზოგადო კამერაში. მაგრამ რაც დრო გადის, სიკვდილზე ფიქრი თანდათან უფრო აწუხებს და ბოლოს განუკრელათ თავს დასტრიალებს მათ. ყოველი ფეხის ხმა, ან კარის გაღება მათ ჯალათების მოახლოვებათ ეჩვენებათ და მალიმალ მიაშტერებენ თვალებს, კარები ხომ არ იღება ჩვენს საბრძოლველად წასაყვანათო. ამნაირ მდგომარეობაში ორ გვარი გზა აქვთ დასამშვიდებლათ: ან უნდა იოცნებონ პატიებაზე, რაც დიდხანს ვერ გაგრძელდება, და ან თავი მოიკლან. ამითი აიხსნება, რომ თავისმკვლელობა დიდი პროცენტი ტუსაღებზე მოდის.

„თავს იკლავენ ხოლმე კამერის სხვა მცხოვრებთა თვალ წინ, — სწერია ერთ წერილში. ამხანაგ ია — ვის სიკვდილმა ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ნების დიდებული სიძლიერე და გმირული სიკვდილის სურათი გადაიშალა ჩვენ თვალ-წინ. სიკვდილის წინ თავი მხიარულათ ეჭირა, იცინოდა, სწევდა, ლაპარაკობდა, მღელვარება არ ეტყობოდა. შემდეგ ხელით გაისინჯა გული, ჩქარა ერთი ხელით დანა დაიდო ზედ და მეორე დაკრა: ერთი! ორი! მერე სთქვა: „აი, კარგია! ამომიღეთო!“ დაიწყო ხრილი და მოკვდა; ერთხელაც არ დაუკნესია.“

გულის შემზარავ სურათს წარმოადგენს სიკვდილით დასასჯელის ნახვა ახლო ნათესავების მიერ.

„მაღალი, გაყვითლებული, თვალზე ანთებული ყმაწვილი კაცი იდგა მოაჯირთან, რომლის მეორე მხარეზე

იდგა ორი ქალი. ერთი მათგანი, მოკუზული, მალე მოხვეული, განუწყვეტლივ სტიროდა და შალის ყურით თვალებს იწმენდა. მეორე არ სტიროდა: მისი თვალები გაწითლებული და მშრალი იყო. ეს იყო დედა. შეილს თვალს არ აშორებდა, მაგრამ სიტყვები კი ვერ ეზოვნა, ისეთი სიტყვები, რომლებსაც შესძლებოდათ ენუგეშებინათ, მოერბილებინათ, რომლებიც უადგილო არ ყოფილიყო.

—სხვა, ახლა რას იტყვი? — კითხა მან მწუხარეთ, — როგორა ხარ?

—რა როგორა ვარ? ჩამომახრობენ მალე, — უპასუხა შვილმა ხრინწიანი ხმით და სცადა გაცივება, მაგრამ სიცალი ვერ მოახერხა და უნებლიეთ შესწყვიტა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

—ცულ სიზმრებსა ხედავ? — კითხა ისევ მოხუცმა.

—ჰო, ხან რას ვხედავ და ხან რას, — უპასუხა ფიქროსი წასულმა და უფრო თავისუფლათ და უბრალოთ უთხრა: — იქ პალატა ჩემი. უნდა გაყიდო.

დაიწყეს ლაპარაკი პალატაზე და ორივეს გაეხარდა, რომ სალაპარაკო საგანი იპოვნეს, — ისეთი საგანი, რასაც დამოკიდებულება არ ქონდა იმ უმთავრესთან, რაც ორივეს აინტერესებდა... ისინი მალე დაშორეს ერთმანეთს...“

უნებლიეთ გვაგონდება ის ახლო წარსული, მაგრამ ჩვენგან მეტათ დაშორებული დრო, როცა პირველმა დუმათ თითქმის ერთხმათ მიიღო ორი მუხლისაგან შემდგარი კანონ-პროექტი: I, სიკვდილით დასჯა ისპაბა. II, ყველა იმ შემთხვევაში, როცა მომქმედი კანონებით დანიშნულია სიკვდილით დასჯა, ეს სასჯელი უნდა შეიცვალოს სხვა სასტიკ სასჯელით...

„რა მშვენიერი, რა ნორჩი იყო ვარდები!“

მესამე დუმის მომავლინებლებმა გაანადგურეს რუსეთის ცხოვრების ახლათ გაშლილი ვარდი და ნაცვლათ დასტოვეს მხოლოდ ეკლები, სახარელი ეკლები...


Викторъ.

კ ო რ ე ს ჰ ო ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი.

ბათოში. იყო დრო, როცა ბათომსაც სიცოცხლე ეტეობოდა. ამ სიცოცხლის მიმცემათ კი, თავის-თავათ ცხადია, ქარხნების მუშაობა იყო. ბათომის ეკონომიურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენდენ მუშები. ვინც კი გახსნიდა რაიმე სავაჭროს, მხოლოდ მუშების იმედით; მთავარ მომხმარებელ ძალას ისინი წარმოადგენდენ.

მუშები შეადგენდენ ბათომის მამოძრავებელ ძალას, მუშების გავლენა ეტეობოდა ეველას სიფრას, ისინი ადვილებდენ და ეხერგას უმეტებდენ ეველას ეფუქანაირ საქმეში. ისინი განსაკუთრებით კულტურულ დაწესებულებებს ახევენდენ დადს. მაგრამ გაქვს ბათომისთვის ოქროს ხანა. დაიკეტა ქარხნები და აურებელი მუშა დარჩა უფუკმანურათ. ნელ-ნელა იწეოდა დაწალიკრება ბათომში. მუშები გაიხსნენ სხვა და სხვა ქალაქებში.

მას შემდეგ ჩვენს ბათომს სიცოცხლე, სიხარული, სიფ-



ხიზლე თანდათან დაეკარგა და დღეს წინანდელის მხლელ მკვრივობა-და დარჩა. დღევანდელი ბათიმი არაფრითა გავს წინანდელ ბათიმს. ის დაცლიერდა, გაიენა, სსსიციცხლო ელფერი დაკარგა. ასეთია ბათიმი დღეს. სანამდის იქნება ამ ფოფაში, ამას მომავალი დაგვანახებებს.

ბათიმის ზემო აღნიშნული საერთო მდგომარეობა, რასაკვირველია, რომ თუკრსაც დაახვევდა თავის დაღს. და მართლაც, წინათ ხშირათ იმართებოდა წარმოდგენები და ხალხიც ბლამათ ესწრებოდა. კვირაში რომ სამჯერ-ოთხჯერ გაემართათ, ხალხი მანინ ბლამაც დაესწრებოდა. თუკრის საქმე, დღევანდელთან შედარებით, მაშინ კარგ ნიადაგზე იყო დაყენებული. იყო დრამატული დასი, იყო მუშებისგან შემდგარი სცენის მოყვარეთა წრე. ჩამდიოდენ ხშირათ ვლ. მესხიშვილი ქუთაისიდან თავისი დასით, თფილისიდან სხვა და სხვა მსახიობები და სხ. გასტროლიორებიც არ მიდიოდენ უკან გულხატკები. ხალხი ყოველთვის ბევრი ესწრებოდა, უფრო კი, რასაკვირველია, მუშები.

მაგრამ მას შემდეგ ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ერთი ხეირიანი წარმოდგენა არ გამართულა, თუ არ მივიღებთ სახეში მესხიშვილის უკანასკნელ გასტროლს. ჩვენმა საზოგადოებამ „მადლი“ და „დაბალი“ სულ დაივიწყა თუკრის ხსენებაც კი. დღეს „მადლი“ საზოგადოება უფრო კლუბ-ბაღებს ეტანება, „დაბალი“ კი ილიუზიონ-პროექტორში ირთობს თავს. მართალია, დღეს არც თუკრი გვაქვს, აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ ზოგჯერ გამართული „წარმოდგენები“ წარმოდგენების მეტს ყველაფერს გავს, მაგრამ... რომ მთხიანდება იყოს, მიწოდებაც იქნება.

მერე რას შერება ამ დროს ჩვენი ინტელიგენცია? აკეთებს თუ არა რაიმეს იმ მხრით, რომ ქართული წარმოდგენები ხეირიან ნიადაგზე იყოს დამდგარი? ის გულ-ხელ დაკრეფით, მეტის-მეტათ გულ-გრძლიათ შეუურებს ამ საქმეს. და განა მართლაც ამას? სამაგიერით კლუბ-ფორუმებისთვის მუდამ მზათ არიან. უმეტეს დროს იქ ატარებენ ქეიფში, ღვინში და წარმოადგიან, სსმშობლან დღეგრძელაში!

დავს, ჩვენი ინტელიგენცია ასეთ საქმისთვის თავს არ იწუნებს, მასზე არ ზრუნავს. ნუ თუ ჩვენს ინტელიგენციას არ შეუძლია კარგ ნიადაგზე დააყენოს თუკრის საქმე? თუ კი ენერჯიას გამოიჩინებს, რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ როცა არ სურთ? გვეყვან ქაფაქის მამები, მაგრამ რომ არ იყვენ, ის სჯობათ. ეს დაღვრილები გვიბრდებიან, თუკრის შენობას ავაშენებთ ოდესმე, მაგრამ სანამ შენობა აშენდებოდეს მანამ წარმოდგენას არ უნდა ვუდარსოთ? დღეს არის კერძო შენობა სადაც თამაშობდენ აქამდის, ეგრეთ წოდებული „რკინის თუკრი“ და შეიძლება იქ ითამაშონ ჯერ-ჯერობით, თუ კი საქმის წყურვილი იქნება.

და თუ მართლაც არაფერი იღობენ და წარმოდგენების მართვას სერიოზული უურადლება არ მიეჭრა,—ბათიმის მცხოვრებთ მალე ქართული თუკრის სახელიც დაავიწყდებათ.

ავ. პლატონიშვილი.

ოქონის საზოგადოება. (გორის მაზრა)

შარშან, 1909 წ. ნოემბერში და დეკემბერში ოქონის საზოგადოების ყოფილმა მამასახლისმა გლეხობას გადასდევინა

სახელმწიფო და საერობო გადასახადების „ნედლიკება“. ეს ყველაფერი ჩვენ საზოგადოებას, მკონას, არსოდეს არ დაავიწყდეს თავისი მხედობით. ჯერ ისევ 1908 წელს იყო მიმშილი და 1909 წ. მოუსავლობამ ხომ სულ გადაარბა და გადატაკა გლეხ-კაცი; ამას ზედ დაერთო ღვთის რისხვა მამასახლისის თავისი სტრანნიკებით.

სოფ. თერეკვანში დროებით ვაღდებულ უკიდურესობამდე გადატაკებულ გლეხებს „ატენკის ნედლიკაში“ რაც რამ ებდათ ყველაფერი წაართვეს. 1) მაგ., ონისივე ნებიერიძემ ხუთ-თუთნინანი ხარი 11 მანეთში გაყიდა, შვიდი აბაზი დააკლდა და ამ ფულში ორი დღის უანა დაუგირავა მეზობელ ოსს, რათა კარზე მომდგარი მამასახლისის აცდილებინა; 2) ნიკა ნებიერიძემ დღე დღეზე მოსავები ძროხა 10 მანეთში გაყიდა. 3) ქეთო ცისკაძის ქვრივმა 6 ცალი წლის დორები ექვს მანეთში გაყიდა. 4) გიორგი ნებიერიძის შვილმა „ნედლიკაში“ ხუთი თუმანი გადაიხდა, ოთხი მანეთი დააკლდა და ხარის წართმევა დაუზიარეს. 5) ერთ დედაბერს ძველი საზოგადოება საბინისგან ამოკეკრა რაღაც კაბის მინაგვარი და ამაში გახუთულიყო, ნახევრათ მიშველი იყო მისი შვილიც. მათაც ხარი გაუყიდას.

სოფ. ახალქენზე 210 მან. იყო „ნედლიკა“. 182 მ. 77 კან. მოკრიფა მამასახლისმა და 27 მ. 23 კან. ალექსი მესხზე დარჩა. მას ამ ფულში უდელი ხარი წაართვა, ერთი ხარი თავისთვის დაიტოვა, მეორე ხარი კი სხვას მიყიდა.

სოფ. მუღრისში მამასახლისმა მეტატონის გადასახადში საქონელი დაირეკა. რაც კარგი იყო, თითონ დაიტოვა, დანარჩენი გაყიდა.

სოფ. კნოლეს დღე-ნახევარში მოჭვრიფა 210 მან. ერთმა ქვრივმა დედაკაცმა 8 მანეთში მამასახლისის ბიძას ვენახი დაუგირავა. სოფ. ოქონისაზე იგივე დღე დაადგა.

ასეთი სისასტიკით კრებდა ბ-ნი მამასახლისის ფულებს, მაგრამ, თურმე ნუ იტყვიან, მოკრიფილი გადასახადების მეტი წილი საზინაში არ ჩუბარებია. ბ-ნი მამასახლისის ისე შორს წავიდა, რომ იახვარში მარხის ადმინისტრაციამ სამსახურიდან გადააყენა და ზასუხის გებაში მისცა. მის მაკვირათ დახიშნეს სხვა, რომელიც არაფრით ჩამოუყვარდება ძველს...

ძველი მამასახლისის საქმე გამოსაძიებლათ გადაეცა მომრიგებელ შუამავალს, რომელმაც, რაღაც მიზეზით, თითქმის სამი თვეა, საქმე შეახერა.

ამ ბოლოს ხმა გავრცელდა, რომ გადასდილ „ნედლიკებს“ ისევ ხალხს გადასდევინებენო. ეს ხმა მით უფრო მართალი გონია ხალხს, რომ: ბ-ნი მამასახლისის მიერ მიცემული კვიტანციები ჩამოართვეს. ხალხიც დადონებული და დაძმარებული ელფება საქმის დაბოლოვებას.

ბოლქალაძე.

აქონიური სოფრების განვითარება.

V

შრომის განაწილება ისტორიული მოვლენაა, იგი ისტორიული პირობების მიერ წარმოიშვა და ისტორიულათაუ განვითარდა. თითქმის ყველა განვითარების და-

ბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში, ძველათვე, მთელი საოჯახო საქმე, მთელი საოჯახო მუშაობა ორ სქესს—მამაკაცსა და დედა-კაცს შორის იყო განაწილებული. მოცემულმა ბუნებრივმა პირობებმა, ბუნებრივმა განსხვავებამ დედა-კაცი ოჯახს, ოჯახის წარმოებას მიაკერა. ბუნებრივი კანონია, რომ დედობა ქალს ნაკლებათ უწყობს ხელს, მოძრავი ცხოვრება ეწარმოებინა, სახლს მუდამ თავისუფლათ მოშორებოდა, მაშინ, როცა მამა-კაცი სრულიათ თავისუფალი იყო, ხელ-ფეხ შეუტკვრელ ცხოვრებას აწარმოებდა, დაუბრკოლებლივ შეეძლო ოჯახი დაეტოვებინა და ერთი ალაგიდან მეორეზე გადასულიყო. ამიტომაც დედა-კაცი ჩვეულებრივ ოჯახში რჩებოდა, ბავშვებისთვის უნდა მოეწყო, ყური ეგდო. ასეთი შინ ჯდომა და შეილების მოვლა აუცილებელია ბავშვის ძუძუს წოვიდან რამდენიმე წლამდის, ვიდრე ბავშვი საკუთრათ საზრდოს ქამას, თავის-თავათ უმ საქმელის მიღებას შეძლებდა. ამ ხნის განმავლობაში დედა-კაცი ნადირობისთვის და საერთო ბრძოლისათვის ძალიან ნაკლებათ ვარგოდა. ეს უფრო უმთავრესათ მამა-კაცის მოვალეობას შეადგენდა, ის ნადირობდა მთა-ბარში, იჭერდა თევზებს და შემოქონდა სახლისთვის საჭირო მშრალი მასალა. ჩვეულებრივ, მამა-კაცი სანადირო იარაღებთან ერთათ იგონებდა საწარმოო იარაღებსაც. შემდეგში, როცა გარეულ ცხოველების დაშინაურება ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა, ეს უკანასკნელი მოვალეობაც მამა-კაცს დაეკისრა, ის მიღწევდა მათ მოვლა-მოშენებას. დედა-კაცი სახლს პატრონობდა, სადილს ამზადებდა, აწარმოებდა სასოფლო მეურნეობას, ბოსტნეულობის მოშენებას, ის ამზადებდა ტანისამოსს, ის ქსოვდა, ართავდა და კერავდა. მეცნიერ ეთნოლოგების აზრით, მექურჭლეობის მომგონი დედა-კაცი ყოფილა. დედა-კაცი იყო ოჯახის პატრონი, ოჯახის შემნახველი, ოჯახის დისახლისი, სახლის და კარის მეთვალყურე, კაცს კი მინდორი და ტყე ებარა, ამას უვლიდა. ერთი სიტყვით, მამა-კაცს წილათ ხვდა გარეული ნადირის ხორცის მოტანა, დედა-კაცს კი ხორცეულობიდან და მცენარეულობიდან საქმლის მოხარშვა-მომზადება. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ეგრეთ-წოდებული მამა-კაცის და დედა-კაცის საოჯახო ეკონომია, ოჯახური მეურნეობა.

ასეთი პირველყოფილი შრომის განაწილების ფორმა პრიმიტიულ ხალხებს ძვალსა და რბილში ქონდათ გამჯდარი.

ცნობილი ეთნოგრაფი ფონ-შტეინი ერთ თავის გამოკვლევაში მეტათ საყურადღებო ფაქტებს მოგვითხრობს; მაგ., სამხრეთ ამერიკის ბრაზილიის შინგუს წვირელ ერებში პირველყოფილი შრომის განაწილება მეტათ გავრცელებული ყოფილა. იქ თურმე დღესაც მამა-კაცი ნადირობას მისდევს, მაშინ, როცა დედა-კაცი მინდვრის მოვლა-მოშენებას აწარმოებს. მთელი ბრაზილიის ველურ მცხოვრებ ხალხებში დედა-კაცების ხელშია არა მარტო ოჯახის მოვლა-პატრონობა, იმათ ხელში ყოფილა მანიოკის (ფქვილის მომცემი მცენარე) მოშენება. დედა-კაცები დათესილ მამულს გამწვეტიანებულ ჯობის საშუალებით წმენდავენ— მარგლიდენ. როცა შემოდის, ნაწილ-ნაწილ გლე-

ჯენ და შინ მოაქვთ საქმელათ... მამა-კაცი ნადირობდა და იარაღის ხმარება. იქ, საცა ნადირობა და თევზაობა ჯერ ისევ მთავარ როლს თამაშობენ, ამბობს იგივე ფონ შტეინი, შრომის განაწილება დასახლებულ სახით ხდება: მამა-კაცი ნადირობს და თევზაობს, დედა-კაცი სხვა დანარჩენ სანოვაგეს შეძენა-მოშენებაზე ფიქრობს, სადილის მომზადებაზე მეცადინეობს.

საოჯახო წარმოების ორ მთავარ—მამა-კაცის და დედა-კაცის—დარგებათ განაწილებას, როგორც ზევითაც ვსთქვით, თითქმის ყველა პრიმიტიულ ხალხებში შევხვდებით, იქ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. წარმოების ასეთი ორ კატეგორიით განაწილება უმთავრესათ ორთავე სქესის ბუნებრივ განსხვავებაზეა აღმოცენებული, მათ ბუნებრივ უნარის სხვა-და-სხვაობით არის გამოწვეული. მეტათ საგულისხმო ის მთავარი გარემოებაა, რომ პირველყოფილ შრომის განაწილების დროს მძიმე, ძნელი და მეტი შრომის ჩამყლაპავი საქმე დედა-კაცსა ხვდა წილათ, მამა-კაცებს კი გასაჭობი და სასიამოვნო მოვალეობა. მაგრამ მალე საქმე სრულიად უკუღმა დატრიალდა, სოციალურ (საზოგადოებრივ) ცხოვრების განვითარებამ, ცივილიზაციის აყვავებამ მთელი შრომის განაწილება სრულიად სხვანაირათ შესცვალა. ის, რაც წინათ დედა-კაცის საქმე იყო, შემდეგში მამა-კაცს დაეკისრა. ახლა მამა-კაცი თითონ ამუშავებს სახნავ-სათესს, ჩეხავს ტყეებს, აშენებს სახლებს, მოყავს მცენარეულობა, ერთი სიტყვით დედა-კაცის საქმე თითონ იდგა კისერზე; დედა-კაცი კი სრულიად ოთხ კედელში მოიშრყვდა, თავის ქალიშვილების საშვალეობით მხოლოდ-და ართავს, ქსოვს, ღებავს, ტანსაცმელს კერავს, სადილს ამზადებს და სხვ. ამისთანებს. სერვილი ერთ-ერთ სანტოლსის მშვიდობიან მცხოვრებლებზე მოგვითხრობს, რომ მამრობითი სქესის ახალგაზდები ხნავენ, ხარებს ამოვებენ, მოსავალს აგროვებენ, აშენებენ ოჯახისთვის საცოვრებელ ბინებს, აკეთებენ ურემებს და საწარმოო იარაღებს, ხდიან მაგარ სასმელებს და ყველა იმ საქმეებს, რომელიც კი ოჯახს გარეთ იყო, მაშინ, როცა დედრობითი სქესის ყმაწვილები ოჯახის საქმეს აკეთებენ, არჩევენ ბრინჯს, ხდიან ზეთს, საქმელს ხარშავენ, ბაზრობაზე მიდიან, თუ ახლოა რასაკვირველია, და იქიდან მოაქვთ ოჯახისთვის საჭირო ნივთეულობა. ისინი უვლიან შინაურ ფრინველებს, ღორებს, თხებს და მტრედებს. ამავე დროს, თუ ვინმე ოჯახში უძლური შეიქნება, მათ უნდა თვალყური უგდონ. მორგანი პირდაპირ ამბობს: სოფლის ინდოელებში ახლაც წესათ არის დარჩენილი, რომ მძიმე სამუშაო აუცილებლათ მამა-კაცმა უნდა იკისროს.

ჯერ დღესაც სასოფლო სამეურნო ტენიკის განვითარება დაბალ საფეხურზე სდგას, იგი, შედარებით ხელოვნობა-ინდუსტრიასთან, ძალიან მძიმე ნაბიჯით მიდის წინ. ამიტომ მეურნეობა დიდი ხნის განმავლობაში მეტის-მეტ პრიმიტიულ ფორმებით სწარმოებდა.

მიწის შემუშავება, ან სწორეთ რომ ვსთქვათ—სასოფლო მეურნეობა—სპეციფიკურათ დედა-კაცის აღმოჩენ-



ნილია. როცა პირველ-ყოფილი ადამიანი, ნახევრათ ნადირისებურ ცხოვრებას აწარმოებდა, ამ დროს დედა-კაცი ზურგზე მწოვარა ბავშვ-მოკიდებული, ან და ხელში აყვანილ ბავშვით მინდვრათ და გაუვალ ტყეებში დახეტიალობდა, როგორც მწერი ან ხის ნაყოფი მოეგრგობინა და თავისი ფიზიკური შინაშლილი დაეკმაყოფილებინა. გაფოთებული ხეებიდან კრეფდა საქმელ ხილს და იქ, საცა ხეხილი არ მოიპოვებოდა, იგი გამწვეტიანებულ ჯოხით დაიარებოდა და მიწიდან ამოქონდა ძირკვიანი მცენარეები. აუცალებლათ ასეთ ხანგრძლივ ცხოვრების დროს იგი სულ შემთხვევით ყურადღებას მიაქცევდა, რომ თესლიდან იზდებოდა, ყვავილდება და შემდეგში საქმელ მცენარეთ ხდება. ამის შემდეგ იგი, რასაკვირველია, ხვდება მცენარეულობის გაზრდის საიდუმლოებას. სწორეთ ამ შემეცნებიდან მცენარეულობის შრომით გაშენებამდის დიდი მანძილი აღარ იყო, სულ ერთი ნაბიჯი იყო საქრო. მაგრამ ამ დიად ნაბიჯის გადადგმას მთელი საუკუნოები მოუწდა, მთელი საუკუნოები დასჭირდა. მას აკლდა, რასაკვირველია, დაკვირვებით ნიქი, მიზეზ-შედეგთა გაგების უნარი; მცენარეულობის ჩასახვა-განვითარება დიდ ხნობამდის პირველ-ყოფილ ადამიანის შექმნეველათ ხდებოდა. იგი სრულიად ვერ ხვდებოდა მცენარეულობის დაწვრილებით ქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესს. ერთი სიტყვით, ბუნების კანონები პრიმიტიული ადამიანისთვის ცხრა ლაქით იყო დაბეჭდილი. ამის მერე გასაკვირველი აღარ არის, თუ პირველ-ყოფილ ადამიანს არ ქონდა საშვალება, იმდენი ცოდნა, რომლის მეოხებითაც იგი შესძლებდა მცენარეულობის ხელოვნურათ მოყვანა-გაშენებას. ადამიანს ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ბუნებისთვის შეეძლო მიებაძნა.

როგორც მცენარეულობის თესლები ბუნებრივ მოვლენების საშვალებით უთანასწოროთ მიწაზე იზნეოდა, ისე ადამიანი ხორბლეულობას უბრალოთ აჩიქნილ მიწაში ხელით, უწყსოთ აზნედა, ანუ ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, სთესავდა. ამით თავდებოდა პირველ-ყოფილი ადამიანის სამეურნეო მუშაობა, ამის მერე იგი ბუნების სინაბარასტოებდა და მზე და ჰაერი იყო მისი მომვლელ-პატრონი. ასეთი იყო პრიმიტიული ადამიანის მიწის დამუშავების მეთოდი, ასეთი იყო მისი სასოფლო სამეურნეო სისტემა, იგი მთლათ პირველ-ყოფილი და არარაციონალური იყო. სასოფლო-სამეურნეო იარაღები მეტის-მეტათ მცირე და უბრალო კონსტრუქციისა იყო. გუთანი იმათთვის სულ უცნობი იარაღი იყო, მეურნეობაში შინაურ ცხოველების მოხმარა, ზედმეტ ფუფუნებათ ითვლებოდა. მათ უნივერსალურ საწარმოო იარაღათ მაგარი ხიდან გაკეთებული იარაღი ითვლებოდა, ეს იყო მათი ყოველგვარი სამეურნეო აჯათი. ამით სთხრიდნენ, ამით აკეთებდენ ხორბლისთვის პაწია ორმოებს და ისე მოყავდათ პური; მაგრამ ამავე დროს თანამედროვე თოხის მნიშვნელობაც ქონდა. ამ გზით მიწის დამუშავება ერთობ გავრცელებულია პრიმიტიულ ხალხების მეურნეობაში, ამაზე დაყრდნობილი მთელი მათი სამეურნეო სისტემა. მიწის ნაყოფიერების გამრავლება ღრმა მოხვნის

საშვალებით, მიწის დასვენება, მიწის ხელოვნურათ სუქის საშვალებით განაყოფიერება ძალიან იშვიათი მოვლენა იყო, ამას კაცი მხოლოდ განვითარების მაღალ საფეხურზე შეხვდება. თუ სადმე მიწის გაპოხიერებას შეხვდება კაცი, ისიც მეტათ პრიმიტიულათ სწარმოებას: მოსახნავ მიწაზე მცენარეულობას, სხვა და სხვა ხეებს მიიტანდენ და მერე ცეცხლს უკიდებდენ. როცა სულ მთლათ ნაცრათ იქცეოდა, შემდეგ ამას მიწას აზნევენ და ამაში მდგომარეობდა მთელი მათი ხელოვნურათ მიწის გაპოხიერება. მაგრამ დროთა მსვლელობამ ამ გზით მიწის დამუშავებაც მოქამა, ისტორიულ განვითარებამ თანდათან პრიმიტიული სასოფლო მეურნეობა უმაღლეს საფეხურამდის ასწია და გააჩაღა ადამიანთა კულტურული ცხოვრება.

შვარცი.

მუშათა კავშირები თფილისში.

(გაგრძელება. იხ. „მოგზ.“ № 5)

აი, სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ 1877 წელს, 1 ენკენისთვის, შეგირდები გაიფიცენ. 9 თვის განმავლობაში კავშირმა თავისი ენერგიული მოქმედებით და მეცადინეობით შეგირდებზედაც დიდი გავლენა იქონია, ბალებში ქურდობა მოაშლევინა და უფრო მოფიქრებულ და ზნეობრივ გზაზე დააყენა. ეს გზა კი იყო შეგირდების პირველი გაფიცვა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუშინდელი კავშირის კომისია. შეგირდებმა ასეთი მოთხოვნილება წარუდგინეს ხაზინას:

- 1) თვითეულ შეგირდს მიეცეს პურის ფულათ დღეში 20-დან 30 კაპეიკამდე.
- 2) თვითეულ შეგირდს ეძლეოდეს თვეში 2 მ. და 50 კ. ტანისამოსის ფულათ.
- 3) „ზასეტკისაც“*) ფულათ ეძლეოდეთ შეგირდებს;
- და 4) აეკრძალათ შეგირდებს კვირა-უქმეებში მუშაობა.

შეგირდების ეს მოთხოვნილება ხაზინებმა მიიღო და დააკმაყოფილა კიდეც ისინი 3 კვირის შემდეგ. გაფიცვაც დამთავრდა შეგირდების გამარჯვებით და ხაზინის სამი კვირის ხარჯი რვა თუმანიც გადაახდევინეს. ზეიცერის ქარხანაში ეს პირველი გაფიცვა იყო მარტო შეგირდებისა. მაგრამ 1877—1878 წლებში კი საერთო გაფიცვა მოხდა ზეიცერის ყველა მუშებისა; ამ წლებში ზეიცერს ძალიან დიდი საქმეები ქონდა შეკვეთილი, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მუშტრებისა. სახელმწიფო საქმეებს ძლიერ აჩქარებდენ, რადგან ამ დროს რუსეთს ოსმალეთთან ომი ქონდა. ამიტომ ზეიცერიც ცდილობდა, რომ მუშები ხანგრძლივ ემუშავებინა და შეკვეთილი ჩქარა ჩაებარებინა. ამიტომ მან ერთი საათი სამუშაო დრო

*) „ზასეტკას“ ღამით მუშაობის დაწყებას უწოდებდენ. ხაზინები მოვალენი იყვენ, რომ ქარვალ-შეგირდებისთვის 1 ეენის-თვიდან სადლიი ან ვახშამი გაემართათ, რადგან უამისოთ ისინი ღამე სინათლით მუშაობას არ დაიწყებდენ.



მოუმატა და წინათ თუ დღეში 15 საათს მუშაობდნენ, ახლა 16 საათის სამუშაო დღე გახდა. ხელფასი კი ისევ ძველებურათ რჩებოდა. ამასთან, თუ წინათ დილის 5 საათზე იწყებოდა მუშაობა და საღამოს 8 საათზე თავდებოდა, ახლა ხუთის ნახევრიდან ცხრის ნახევრამდე უნდა ემუშავნათ მუშებს. ამ 15—16 საათში მხოლოდ ერთი საათი დასვენება იყო, ეს კი მეტათ აუტანელი ხდებოდა მუშის ჯანმთელობისათვის. და სწორედ მიზეზიც ეს იყო, რომ 15 თებერვალს 1878 წელს კავშირის ხელმძღვანელობით, ზეიცურის მუშებმა საერთო გაფიცვა მოახდინეს. მოთხოვნილება მუშებისა შემდეგი იყო: 1) სამუშაო დრო ისევ დილის 5 საათიდან იწყებოდეს, მხოლოდ დასვენება დღეში 2 საათი, ე. ი. დღით საუბზე 1/2 საათი, საღილი 1 საათი და სახნარი 1/2 საათი. 2) თუ დღიური მუშაა, მას დღეში 10 და 20 პროცენტი მოემატოს. ამასთან, ყველა ნაჭრის მომუშავეების საქმეები წიგნაკებში ეწერებოდეთ მუშებს.

აი, ეს იყო მუშების მოთხოვნილება. ამის გამოცხადება და ზეიცურის გაცოფება და დაფაცურება ერთი იყო. საქმე ეჩქარებოდა, მუშები კი არ მუშაობდნენ. ამ დროს ზეიცურმაც მიპართა პოლიციას, რომელთაც ორი მოწინავე მუშა: ნ. ჰეგრელი, და ს. გ. დააბატომრეს და მესამე, რადგან უძალიანდებოდა პოლიციას, ბალკონიდან გადმოაგდეს და ცოცხალ-კვდარი საავთმყოფოში წაიყვანეს. ეს მუშა შემდეგ აღარ დაბრუნებულა. ის რუსი იყო და ენერგიულ მონაწილეობასაც იღებდა გაფიცვაში. სახელი სილიბისტრო ერქვა, გვარი დამავიწყდა. იმ დროს ის პარკეთზე მუშაობდა.

გაფიცვა გაგრძელდა ერთ კვირას. თუმცა გაფიცულებში ირიცხებოდა კავშირის წევრები 20—30 კაცი და მაგრათაც ეჭირათ თავი, მაგრამ დანარჩენი 70-დე შეუგნებელი მუშა კი ისევ მუშაობდა და მით, რასაკვირველია, ღალატობდნენ გაფიცულ ამხანაგებს. მაგრამ ღალატი არ აბატის გაფიცულებმა და სამი მათგანი ღალათიანათ მიბეგვეს.

ამ ამბავს რომ მიხედეს სხვებმა, მათაც შეეშინდათ და ყველამ სამუშაოს მიანება თავი. ამან უფრო ააღელვა ზეიცური და აღარ იცოდა რა ექნა. გაჯავრებული სახელოსნოდან წავიდა და მთელი დღე სახლში აღარ დაბრუნებულა; მხოლოდ მეორე დღეს დილით 5 საათზე მთვრალი მოვიდა და ჩვეულებრივ დაუწყო რეკა სამუშაო ზარას... ბევრ ქარგალ-შევირდეს იქვე ხაზინისგანვე ქონდა დაქირავებული სადგომი და ცხოვრობდა. გაჯავრებულმა ზეიცურმა აიღო ხელში ირმის ფეხზე გაკეცილი მათრახი და დაუწყო უწყალოთ ცემა ტყეპა მის სადგომში მდგომ ქარგალ-შევირდებს. სცემდა ტიტვლა ტანზე, ტიტვლებივე ოთახიდან გარეთ სიცივეში გამოყარა. ამან უფრო გაამწარა გაფიცულები და უბედურება დატრიალდებოდა ისევ შეგნებულ მუშებს რომ არ დაემშვიდებინათ გაბრაზებული მუშები. პოლიციაც დიდ მამაცობას იჩენდა გაფიცულთა დატუსაღება-გაფანტვაში.

გაფიცვის მეხუთე დღე იყო. საღამოს 3 საათი იქნებოდა. ზეიცურის სახელოსნოს მახლობლათ ტრაქტირ-

ში შეკრებილიყვენ მუშები. ზოგი ჩაის სემადნა... შემოვიდა ტრაქტირში რამდენიმე ნოქარი. მოსვლის უმალ ნოქარმა მ. მამაცაშვილმა მოიხმო მოწინავე ქარგალ-შევირდები და უთხრა მათ: მე და ბოქაულმა დავათანახმეთ ხაზინი თქვენს მოთხოვნილებაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ორშაბათს უთუოთ მუშაობა დაიწყეთ. მაგრამ მუშებმა ერთბაშათ შესძახეს ნოქარს: შენცა და ბოქაულსაც კარგათ გიცნობთ, რაც გული შეგტკივათ ჩვენთვის; სანამ ხაზინი ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს და ჩვენ დაქერილ ამხანაგებს არ გააშვებინებს, მანამ ქარხანაში ფეხსაც არ შევდგამთ. ნოქარმა კვლავ გაიმეორა, რომ ხაზინი ყველა თქვენ მოთხოვნილებაზე თანახმაა და კიდევაც გთხოვთ; რომ ხვალ დილით 10 საათზე ყველა მუშები მოდით კანტორაში, ფასებსაც ჩავიწერათ წიგნაკებში და დარჩენილ ჯამაგირებსაც მოგცემთ.

მუშები წიგნაკებში ჩაწერას იმიტომ თხოულობდნენ, რომ ბევრი წილი მომუშავე ნაჭრით მუშაობდა და დაუწერავ საქმეს რომ ათავებდა, ხაზინი როგორც მოსურვებდა ისე გაუსწორდებოდა ხოლმე. ასე, რომ თუ მუშას ერგებოდა დღიური ანგარიშით, ნაჭერზე 30 მანეთი, მუშას აძლევდა ხაზინი მხოლოდ 15 დან 20 მანეთს. ასე და ამგვარათ აწარმოებდა თავის საქმეებს ზეიცური, მაგრამ მუშების საერთო გაფიცვამ ხაზინს დააყრევინა ძველი ფარხმალი და მუშათა მოთხოვნილებაც დააკმაყოფილა. შაბათს დატუსაღებული მუშებიც გაანთავისუფლებინა, სამუშაო ფასებიც მოუმატა, წიგნაკებშიც ჩაუწერა ყველას საქმეები. მუშებმა ორშაბათს განახლეს კიდევ მუშაობა.

მაგრამ გავიდა დრო და ხაზინმა სახელმწიფო და სხვა ვადით აღებული საქმეები პატრონებს ჩააბარა. ახლა კი დრო ქონდა მას, რომ უფრო ეძია მუშებზე და ასეც მოიქცა; მან დაიწყო თავისებურათ მუშების წვალება ხანგრძლივ მუშაობით და ფასების დაკლებით. ამრიგათ, თანდათან შემოქონდა ისევ ძველი წესები. უმთავრესი იერიში მან უფრო მოწინავე მუშებზე მიიტანა და ისინი თითო-თითოთ დაითხოვა. ზოგმაც ძალა-უნებურათ დაანება თავი სახელოსნოს, რადგან დარჩენა მოუხერხებელი ხდებოდა. შეუგნებელ მუშების უმრავლესობას კი ეშინოდა დათხოვნისა და ამიტომ თანხმდებოდნენ ძველებურათ მუშაობას. ასე, რომ კავშირის წევრებიდან ორიოდე კაცი-და დარჩა ზეიცურის ფაბრიკაში.

დათხოვნილები კი გაიფანტნენ თფილისის სხვა-დასხვა ქარხნებ-სახელოსნოებში. მათ დაიწყეს ღალატობის და ერობის ძალით თავიანთ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ამგვარმა აგიტაციამ ნაყოფი გამოალო. განსაკუთრებით დურგალთა პროფესიაში. ამ უკანასკნელებში დაიბადა სამხანაგო საწყობის გახსნის სურვილი. შეუდგენ საქმეს და 1885 წელს კიდევ შეიკრიბა რამდენიმე დურგალი, განურჩევლათ ხაზინ-ქარგლისა და საერთო კრებაზე გადასწყვიტეს, დაიქირაონ სახლი და შეუდგენ საქმის მოგვარებას. ასეც მოიქცენ. აირჩიეს ამხანაგობის გამგეობა 6—7 კაცისაგან, მათ დაიქირავეს იარმუკაში თამამშო-

ვის სახლი და გახსნეს ამხანაგობის ნაწარმოებისთვის საწყობი (მაღაზია). ამხანაგობაში პირველ ხანათ ითვლებოდა 40 წევრამდე და თან-და-თან ემატებოდა.

წევრებმა დაიწყეს ზიდვა თავიანთი ნაწარმოების ამხანაგობის მაღაზიაში, რომელიც გაიხსნა მათი საქონლით. ერთ წლამდე კარგათ მიდიოდა საქმე, მაგრამ მერე კი აირია მონასტერი: ვინც უფრო ახლო იდგა საქმესთან და ნასესხებ ფულთან, მხოლოდ ისინი სარგებლობდნენ ნავალებ ფულებით და გარეშე წევრები კი იხევდნენ ხარჩების ხელში რჩებოდა. ამ, და ზოგიერთ სხვა, მიზეზთა გამო ამხანაგობა დაიშალა.

მაგრამ შეკავშირების სურვილი მუშა-ხელოსნებს ისე გაუჯდათ ძვალსა და რბილში, რომ 1888 წელს, რამდენიმე ზეიცერთან ნამუშევარ ხელოსნებმა გახსნეს მიხეილის ქუჩაზე საღებავლო სახელოსნო, „შრომის მოყვარე“-ს ფორმით. პირველათ აქაც კარგათ წავიდა საქმე, მაგრამ ჩქარა ერთმანეთის შურიანობითა და შენ-ჩემობით ეს ამხანაგობაც დაიშალა.

ამის შემდეგ მხოლოდ 1894 წელს შეუდგენ ხელოსნები ახალი ამხანაგობის „შრომა“-ს დაარსებას. მცოდნე კაცების დახმარებით შეიმუშავეს წესდება, რომელიც 1895 წ. ქართულათა დაიბეჭდა. შეუდგენ წვრილ-წვრილათ საწევრო ფულის შეკრებას და 1895 წლამდე 300 მანეთი შეაგროვეს, მაგრამ აქაც თავი იჩინა შურმა და მტრობამ, და ზოგიერთა გაიძვერა ხელოსნების რჩევით, წევრთა უმრავლესობა შეუერთდა, მაშინდელ სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალს“ თავისი 300 მანეთით. მაგრამ ჩვენი ფულის ამბავი დღესაც არ ვიცით, ან რა გვეცოდინებოდა, როცა „შუამავლის“ ამხანაგობა თავის მაღაზიით ნიშადურ ამოცხებულივით ქალაქს ხან თავში მოექცეოდა და ხან ბოლოში... ამ საქმეში ვერ ვუძღვნი მადლობას ზოგიერთ მაშინდელ ინტელიგენტსაც, რომლებიც ბძანდებოდნენ „შუამავლის“ ამხანაგობის გამგეობაში და რომლებიც იწვევდნენ „შრომის“ ამხანაგობის ხელოსნებს შესაერთებლათ და პირდებოდნენ, საწყობს გაგიხსნითო, სადაც თქვენ, ხელოსნებს, პირდაპირ მომხმარებელთან გექნებათ საქმე და არა ჩარჩებთანო.

მ. ჩ — ლი.

(შემდეგი იქნება)

სოციალიზმი და ანარქიზმი. *)

(პროფ. ნ. რაიხსენერისა)

თარგმანი.

X

მაგრამ თანახმათ სოციალიზმის ისტორიულ-ფილოსოფიურ სწავლისა თვით განვითარების პროცესი ხდება ერთი უარყოფის მეორეში გადასვლით.

ყოველ ისტორიულ განვითარების ხანას ბოლოს და ბოლოს უდგება ისეთი მომენტი, რომ იგი თავისივე საწინააღმდეგო წყობილებათ იქცევა, ანუ სხვანაირათ

*) იხ. „მოგზ.“ № 3.

რომ ვთქვათ, სათანადო დამოკიდებულებათა განკარგულებას აღარ შეუძლია იმავე გზით სვლა და იძულებული გადვიდეს სხვა ფორმაში, ბევრი მხრით სულ წინააღმდეგ სტადიაში (საფეხური).

ეს მომენტები შეადგენს ისტორიაში ეტაპებს, ისინი ყოფს ერთი-მეორისაგან ორ სხვა და სხვა ისტორიულ ხანას. ამას უწოდებენ ისტორიულ ეპოქებს. სოციალისტების აზრით ასეთ მომენტს უახლოვდება ამ ეპოქათ ჩვენი საზოგადოება ჩქარი ნაბიჯით. დღევანდელმა საზოგადოებამ ისე შორს შესტოვა ამ გზაზე სვლაში, რომ მისი ამ გზიდან გადახვევა სრულიად შეუძლებელი და წარმოუდგენელია. ამ შეხედულების დასამტკიცებლათ სოციალისტებს მოყავთ შემდეგი მოსაზრებანი.

ზევით უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წარმოების წესი სავსებით სამრეწველო კაპიტალის ხელშია.

ამ კაპიტალის განსხვავებული თვისება კი იმაში მდგომარეობს, რომ მას მოაქვს მოგება თავისი პატრონისათვის სხვისი ნაწარმოების მისაკუთრებით.

ამ მოგების მითვისება ხდება სრულიად კანონიერათ, თანახმათ თანამედროვე უფლებრივი წესწყობილებისათვის ამ სიმდიდრის მწარმოებელთ (შემქნელთ) ეძლევათ მათი შრომის, საზოგადოთ, სრული საბაზრო საფასური ქირის სახით, თუმცა ესენი ყოველთვის მეტ საფასურს ქმნიან, ვიდრე მის მიერ მიღებულ ქირას შეფერის. ასეთია მათი შრომის თვისება.

კაპიტალის პატრონი ყიდულობს ბაზარში მშრომელ ძალას, მითი ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს ერთათ-ერთ წყაროს სიმდიდრისას, და რადგან დამქირავებელს ამ შრომაში უკვე მიცემული აქვს დაპირებული ფასი, ყოველივე ნაწარმოები, თანახმათ არსებული სამართლისა, ეკუთვნის მას. აქამდე ყოველივე ისე სწარმოებს, როგორც წესი და რიგია.

მაგრამ აქ გვიდგება შემდეგი კითხვა: რით აიხსნება ისა, რომ აღამიანები თავიანთ შრომას უფრო ნაკლებ ფასათ ყიდიან, ვიდრე მათი შრომის ნაყოფი ღირს? ეს აიხსნება მით, რომ ბურჟუაზიული საზოგადოებაში არის ისეთი კლასი, რომელსაც არაფერი არ გააჩნია გარდა თავის მარჯვენისა და იმავე დროს წარმოებისათვის ყველა საჭირო საშვალეზანი—იარაღი, დაუმუშავებელი მასალა და სხვა—მწარმოებელის ხელშია თავმოყრილი კაპიტალის სახით.

მშრომელი იძულებულია სარჩოს მოსაპოვებლათ ამ მწარმოებელს ემსახუროს და თან დაემორჩილოს ბაზრის კანონებს, რომელიც აწესრიგებს ყველა გასაცვალ სოციალისტის შესახებ დადებულ ხელშეკრულებათ. მშრომელთა შესახებაც ძალაში რჩება მიწოდებისა და მოთხოვნის კანონი. ეს კანონი ადგენს საზოგადოთ ყველა სოციალისტის ფასს და მათ შორის, რასაკვირველია, შრომისასაც.

აქედან აშკარაა, რომ მწარმოებელთათვის ძლიერ ხელსაყრელია მშრომელთა კლასის არსებობა: უამისოთ კაპიტალი ვერ შესძლებს მოგების მოტანას. აქედანვე აშკა-

თეატრი და ხელოვნება

რათა, რომ მწარმოებელთა ინტერესები მით უკეთ კმაყოფილდება, რაც უფრო მრავალრიცხოვანია შრომის მიძიდებელთა კლასი, რადგან, თანახმად ბაზრის კანონისა, ამ მიზეზით ერთი მხრით შრომის ფასი ეცემა, ხოლო მეორე მხრით საშვალეობა ეძლევათ მეტი ზედმეტი ღირებულება მისაკეთებელთ.

XI

მაგრამ ვინც ამ მოვლენათ დააკვირდება, შეამჩნევს, რომ მიუხედავად შრომის ქირის დაცემის ტენდენციისა, კაპიტალისტის მოგება აღარ მატულობს იმ თანდათანობით, როგორც წარმოებაში მის მიერ შეტანილი კაპიტალი.

პირ-იქით, ბევრ წარმოებაში ამ მხრით სრულიად წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. მოგების რაოდენობა კაპიტალის განსაზღვრულ ერთეულზე უფრო და უფრო კლებულობს და თუ წინეთ რომელიმე კაპიტალს ორი პროცენტი მოგება მოჰქონდა, დღეს მხოლოდ ხუთი ან სამი პროცენტი მოაქვს.

ეს მოვლენა, საზოგადოთ, მით აიხსნება, რომ ძვით მრეწველთა შორის საშინელი კონკურენციაა (მეტოქეობა) გამეფებული; ეს უკანასკნელი აიძულებს მრეწველთ, რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში გაასაღოს თავისი საქონელი, რაც, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა წარმოების ხარჯი მოიკლებს, აქ კი შრომის ხელფასს მეტათ საპატიო ადგილი უჭირავს.

ამ ნაირათ, წარმოების ხარჯის დაწევა იწვევს ცოცხალი საქონლის (შრომის) ფასის დაცემას. მაგრამ კაპიტალის იმ ნაწილის შემცირების აუცილებლობა, რომლითაც შრომის ყიდულობენ, მეტათ სახიფათოთ მოქმედებს თვით კაპიტალისტების ინტერესზე, მშრომელი კლასის შემოსავალი, რომელიც მარტო-მარტო ხელფასიდან შედგება, ხსენებულ მიზეზისა გამო მცირდება და, თავისთავათ აშკარაა, ამ კლასს აკლდება „ყიდვის საშვალეობა“.

ეს კლასი კი შეადგენს დღევანდელი საზოგადოების უმრავლესობას.

ამის გამო ნაწარმოები საქონელი ვერ პოულობს საჭირო ბაზარს და გასავალს, მიწოდება მეტათ-ნაკლებათ სჭარბობს მოთხოვნილებას და ფასი თანდათან ეცემა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა სრულიადაც არ უშლის მწარმოებელთ მათი წარმოების გაგრძელებას. პირ-იქით, ეს გარემოება აიძულებს მათ უფრო გააფართოვონ წარმოება, რომ ამით, ე. ი. ბაზარში მომეტებული საქონლის გამოტანით, მაინც დაიბრუნონ ის მოგება, რომელიც ეკარგებათ ფასის დაცემის გამო.

მაგრამ ამ საშვალეობას მიმართავენ ხოლმე ყველა მწარმოებლები ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი საქონელი დაამუშაოს, თუმცა წინდაწინვე არ შეუძლია გაითვალისწინოს, მოახერხებს თუ არა ყველას გასაღებას.

ამის გამო ბაზარი ივსება ყოველგვარი საქონლით და საზოგადოებრივ მეურნეობაში საშინელი არეც-დარეცა იწყება.

(შემდეგი იქნება).

კ. ბ. ფოცხვერაშვილის კონცერტი 15 მაისს ქართული თეატრის დარბაზი აივსა ქართველი საზოგადოების „ბრწყინვალე“ წარმომადგენლებით. პირველათ ითამაშეს კ. ფოცხვერაშვილისავე ორ მოქმედებიანი პიესა: „აშენდა საქართველო“ ქართველ სტუდენტების ცხოვრებიდან. როგორც მხატვრული ნაწარმოები პიესა მეტათ სუსტი გამოდგა. ის შედგება ცალკე ფოტოგრაფიული სურათებისგან, რომლებიც ნამდვილი ცხოვრებიდან არის აღებული. ეს სურათები ძლიერ კარგია პროექტორისათვის, ჩინებული მასალაა ერთ-მოქმედიან კომედიისათვის, ხოლო ჯერჯერობით კი კომედიას, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არ წარმოადგენს. პიესის ცუდ შთაბეჭდილებას აორკეცებდნენ ჩვენი მსახიობები. საუცხოვო იყო ბ. შალიკაშვილი შორაპნელი „მაძიებლის“ როლში. დანარჩენებმა, ბ. ა. იმედაშვილის გარდა, არც რაღი იცოდნენ და არც იცოდნენ, რას თამაშობდნენ. ბ. საფარავი, მგალობლიშვილი, ბერიშვილი ქუჩის ბიჭებს უფრო გვანდნენ, ვინემ ლოთი-ფოთ სტუდენტებს. დიდი შეცდომა ჩაიდინა ბ. ფოცხვერაშვილმა, რომ თავის კონცერტთან ერთათ ეს არა მხატვრული ნაწარმოები დადგა და მით კონცერტის შთაბეჭდილება შეასუსტა. საზოგადოებაში დიდი აღიქოთი გამოიწვია პიესამ. სტუდენტებმა, ნასტუდენტარებმა და მათმა ნათესავებმა მომქმედ პირებში იცნეს თავისი თავი, თავის მეგობრები. პირზე ქაფ მოდებული ლანძღავდნენ ავტორს. საზოგადოებაში არა ერთმა და ორმა გაგლენიანმა პირმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ცდილობდა, საზოგადოებრივი აზრი მის წინააღმდეგ მიემართა. მიუხედავად ამისა ბ. ფოცხვერაშვილის მუსიკალურმა ნიჭმა მაინც თავისი გაიტანა და საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა მისმა მუსიკალურმა ნაწარმოებმა. კონცერტი უნაკულა არ იყო. მაგრამ ორი კვირის განმავლობაში სახელდახელოთ თითქმის ქუჩაში მოგროვილი ასი კაცი-საგან შემდგარი ზოროს უკეთ მომზადება წარმოუდგენელია. სიმფონიური ესკიზის შთაბეჭდილებას ხელს უშლიდა ორკესტრში მონაწილეთა მცირე რიცხოვნობა. საუცხოვო იყო ტირილი და წერილის კითხვა სუსტი იყო მხატვრული მხრით ბ. ზომპერის ხელმძღვანელობით დადგმული ცოცხალი სურათები.

სასიამოვნოა, რომ კვირას 30 მაისს ბ. კ. ფოცხვერაშვილი კონცერტს, ახალი საინტერესო ნომრებით შევსებულს, იმეორებს სახალხო სახლში სახალხო ფასებში.

მირუმ.

სახალხო სახლი. ხუთშაბათს, 30 მაისს, „წრის“ სცენის მოყვარებმა წარმოადგინეს პ. ირეთელის „დამარცხებულნი“. წარმოდგენა სუსტათ ჩატარდა. საერთო მოუშადებლობას ზედ დაერთო ფარდის უდროოდ დროს დაშვება, რვეოლვერების არ გაგარდნა და სხ. თუ არ ქ-ნი ჩერკეზიშვილი (ელისაბედ), ბ. ბ. გოცირიძე (ბაღდაძე) და № (მოსამსახურე), თქვენი მტერია, წარმოდგენა „ჩაფლავდებოდა“!.. არა უშავდა ბ. პეპანოვს (ნიკო), კარგი ილია იყო ბ. ქანკვეტაძე. მეტრეველი (ვანო) გვარიანი იყო მეოთხე მოქმედებაში, სხვებში სუსტობდა. დანარჩენთაგან თითქმის არცერთი არ იყო თავის ალაგას.

ფიქრობთ, ასე მოუშადებლათ წარმოდგენის დადგმას ისა სჯობია, რომ სულ არ დაიდგას და დრო სხვა პიესის მომზადებას მოხმარდეს.

რედაქტორ-გამომცემელი კ. ფ. მეგლაძე

გამოვიდა და იეიდება ყველა წიგნის მდაზიებში **მ. ჯაბარის წიგნი**

უპრავ კონდატოა უფასოება და გათჯი დაღებული გაღასახალი.

ცნობების მხეგნებელი უძრავ ქონებათს მეპატრონეებისათვის, მათი მოიჯარადრეების და მოურავებისათვის; ქალაქის დამფასებელთა და აკენტებისათვის; თვითმართველობის მოღვაწეების და მოსამსახურეებისათვის. **ფასი 40 კ. (2-1)**